

სკოლამდელი განათლების პროგრამა

2011



საქართველოს
ბანათლებლისა
და მეცნიერების
სამინისტრო



ეროვნული სასწავლო გეგმები
და შეფასების ცენტრი
NATIONAL CURRICULUM AND
ASSESSMENT CENTRE

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით



პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი, შესაძლებელია, არ ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

პროგრამაზე მუშაობდნენ:

თამარ ჯაყელი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს უფროსი

ეკატერინე სლოპინსკი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი

ექსპერტები:

ანა ლალიძე - ექსპერტ-კონსულტანტი

ნინო ლაბარტყავა - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ფსიქოლოგიის ექსპერტი

პროექტის ხელმძღვანელი: **ანა ჯანელიძე**

რედაქტორ-სტილისტი: **მანანა მიქელაძე**
მხატვარ-დიზაინერი: **ია ნინოშვილი**
დამკაბადონებელი: **ეკატერინე ტაბლიაშვილი**

ISBN 978-9941-0-1521-2

© ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

I. ზოგადი ნაწილი

I. 1. სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმის მიზანი 9

I. 2. სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანები 9

I. 3. სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირითადი სფეროები და მათი ზოგადი აღწერა 9

I.3.1. სფერო – მეტყველება 10

I.3. 2. სფერო – მოსწავლედ ჩამოყალიბება 11

I.3. 3. სფერო – ფიზიკური განვითარება 11

I.3. 4. სფერო – სამყაროს აღმოჩენა 11

I.3.5. სფერო – ხელოვნება 12

II. კომპეტენციები სწავლების მიხედვით

1. სამი-ოთხი წლის ასაკის ბავშვის კომპეტენციები

II.1.1. სწავრო – მეტყველება 13

მიმართულება: ზეპირი მეტყველება 13

შედეგი 1. 13

შედეგი 2. 13

შედეგი 3. 13

შედეგი 4. 14

შედეგი 5. 14

შედეგი 6. 14

მიმართულება: წერიტი მეტყველება (კითხვა და წერა) 15

შედეგი 7. 15

შედეგი 8. 15

შედეგი 9. 16

შედეგი 10. 16

II.1.2. სწავრო – მოსწავლედ ჩამოყალიბება 16

მიმართულება: ერთად ცხოვრება 16

შედეგი 1. 16

შედეგი 2. 16

შედეგი 3. 17

შედეგი 4. 17

მიმართულება: თანამშრომლობა 17

შედეგი 5. 17

შედეგი 6. 17

მიმართულება: დამოუკიდებლობა 18

შედეგი 7. 18

შედეგი 8. 18

შედეგი 9. 18

შედეგი 10. 18

II.1.3.სწავრო – ზიზიკურიბანწიტიარება	19
მიმართულება: მოძრაობა-გადაადგილება	19
შედეგი 1.	19
მიმართულება: გამომხატველობითი და რიტმული მოძრაობები	19
შედეგი 2.	19
II.1.4. სწავრო-სამყაროს აღმოჩენა	19
მიმართულება: ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა	19
შედეგი 1.	19
მიმართულება: სხეულები და მოვლენები	20
შედეგი 2.	20
მიმართულება: დედამინა და გარემო	20
შედეგი 3.	20
მიმართულება: სივრცეში და დროში ორიენტირება	20
შედეგი 4.	20
შედეგი 5.	20
მიმართულება: რაოდენობა და რიცხვები	21
შედეგი 6.	21
მიმართულება: კანონზომიერებები	21
შედეგი 7.	21
მიმართულება: ფიგურების აღქმა	21
შედეგი 8.	21
II.1.5.სწავრო – ხელოვნება	22
მიმართულება: ხედვა და კეთება	22
შედეგი 1.	22
შედეგი 2.	22
შედეგი 3.	22
მიმართულება: ხმა და სმენა	23
შედეგი 4.	23
შედეგი 5.	23
შედეგი 6.	23

2. სუთი-ექვსი წლის ასაკის ბავშვის კომპეტენციები

II.2.1.სწავრო – მეტყველება	24
მიმართულება: ზეპირი მეტყველება	24
შედეგი 1.	24
შედეგი 2.	24
შედეგი 3.	24
შედეგი 4.	25
შედეგი 5.	26
შედეგი 6.	26
მიმართულება: წერიტი მეტყველება (კითხვა და წერა)	27
შედეგი 7.	27
შედეგი 8.	27

შედეგი 9.	28
შედეგი 10.	28
შედეგი 11.	28
შედეგი 12.	29
მიმართულება: კულტურათა დიალოგი	29
შედეგი 13.	29

II.2.2. სწავრო - მოსწავლედ ჩამოყალიბება 29

მიმართულება: ერთად ცხოვრება	29
შედეგი 1.	29
შედეგი 2.	30
შედეგი 3.	30
შედეგი 4.	30
მიმართულება: თანამშრომლობა	30
შედეგი 5.	30
მიმართულება: დამოუკიდებლობა	31
შედეგი 6.	31
შედეგი 7.	31

II.2.3. სწავრო - ფიზიკური განვითარება 32

მიმართულება: მოძრაობა-გადაადგილება	32
შედეგი 1.	32
შედეგი 2.	32
მიმართულება: გამომხატველობითი და რიტმული მოძრაობები	32
შედეგი 3.	32
შედეგი 4.	33

II.2.4. სწავრო - სამყაროს აღმოჩენა 33

მიმართულება: ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა	33
შედეგი 1.	33
მიმართულება: სხეულები და მოვლენები	34
შედეგი 2.	34
შედეგი 3.	35
მიმართულება: დედამინა და გარემო	35
შედეგი 4.	35
მიმართულება: სივრცე და დრო	36
შედეგი 5.	36
შედეგი 6.	36
მიმართულება: რაოდენობა და რიცხვები	37
შედეგი 7.	37
შედეგი 8.	37
შედეგი 9.	37
შედეგი 10.	38
შედეგი 11.	38
მიმართულება: ფიგურების აღქმა	39
შედეგი 12.	39

შედეგი 13.	39
შედეგი 14.	39
შედეგი 15.	39
მიმართულება: კანონზომიერება	40
შედეგი 16.	40

II.2.5. სწავრო - სელოვნება	40
მიმართულება: ხედვა და კეთება	40
შედეგი 1.	40
შედეგი 2.	41
შედეგი 3.	41
შედეგი 4.	41
მიმართულება: ხმა და სმენა	42
შედეგი 5.	42
შედეგი 6.	42
შედეგი 7.	42

წინასიტყვაობა

ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და სწავლების ხელშეწყობა მომავალში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების და ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

თქვენს წინაშეა სკოლამდელი განათლების პროგრამა, რომელიც ეფუძნება „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს“ და მისაღწევი შედეგების სახით აღწერს იმ კონკრეტულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს ბავშვმა ბაღის დასრულებისას ხუთ საგანმანათლებლო სფეროში (მეტყველება, მოსწავლედ ჩამოყალიბება, ფიზიკური განვითარება, სამყაროს აღმოჩენა, ხელოვნება). სკოლამდელი განათლების პროგრამის შექმნაში მონაწილეობდნენ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები.

პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმას საქართველოში, განსაკუთრებით კი, სკოლამდელი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას, მეთოდოლოგიური რესურსებისა და სასწავლო პროგრამის შემუშავებას, ინკლუზიურ განათლებასა და სასკოლო მზაობის კვლევას.

სკოლამდელი განათლების პროგრამა დაეხმარება აღმზრდელებს, უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე მის მომზადებას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის.

წინამდებარე პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და იმედი გვაქვს, რომ სკოლამდელი აღზრდის დანერგვების თანამშრომლებს სააღმზრდელო და სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში დაეხმარება.

I. ზოგადი ნაწილი

I.1. სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმის მიზანი

სკოლამდელი განათლება საგანმანათლებლო სისტემის საფუძველია, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად.

ზოგადი განათლების შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; მთელი საგანმანათლებლო პროცესი – დანეციებით, საბაზო და საშუალო საფეხურები – ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება. განათლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმაც ზოგადი განათლების მიზნებზეა ორიენტირებული. მან ხელი უნდა შეუწყოს ისეთ სასწავლო პროცესს, რომელიც ბავშვს მრავალმხრივად განავითარებს და მოამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო დანეციებითი საფეხურის გამოწვევებისათვის.

I.2. სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანები

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ისეთი შინაარსის სწავლებას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საფეხურისთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანათა რიგს განეკუთვნება:

- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- სოციალიზაციის ხელშეწყობა;
- აღქმის განვითარება;
- მოტორული, სენსორული, კინესთეტიური სისტემების დახვეწა-განვითარება;
- კოგნიტური უნარების (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება) განვითარება;
- წარმოსახვის და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- ნებელობის განვითარება;
- დამოუკიდებლობის უნარის განვითარება;
- დადებითი განწყობის ჩამოყალიბება სწავლისა და სასკოლო გარემოს მიმართ.

I.3. სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირითადი სფეროები და მათი ზოგადი აღწერა

დასახული საგანმანათლებლო მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშესაწყობად, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა ხუთ საგანმანათლებლო სფეროდ იყოფა. ეს სფეროებია:

- მეტყველება;
- მოსწავლედ ჩამოყალიბება;
- ფიზიკური განვითარება;
- სამყაროს აღმოჩენა;
- ხელოვნება.

თითოეულ სფეროს ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსი აქვს და ბავშვის სპეციფიკური ცოდნითა და უნარებით აღჭურვას ითვალისწინებს, ამავდროულად, თითოეული მათგანი, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, სკოლამდელი განათლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

ამ მიზნებსა და ამოცანებში აისახება სკოლამდელი განათლების გამჭოლი ანუ ყველა სფეროსთვის საერთო

საგანმანათლებლო პრიორიტეტები. საგანმანათლებლო სფეროებად დაყოფის მთავარი ფუნქციაა მრავალფეროვანი სასწავლო შინაარსისა და სწავლების პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, ყოველდღიური სასწავლო მიზნები და აქტივობები სფეროების მიხედვით დაგეგმოს.

თითოეული სფერო შეიცავს რამდენიმე მიმართულებას, რაც შეესაბამება ამ სფეროში შემავალ მთავარ უნარ-ჩვევებს. თავად მიმართულებებში, მისაღწევი შედეგების სახით, განერილია ის სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც ბავშვმა სკოლამდელი განათლების დასრულებისას უნდა წარმოაჩინოს.

განვიხილოთ თითოეული სფეროს ძირითადი შინაარსი და მიმართულებები.

1.3.1. სწავრო - მეტყველება

სკოლამდელ საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ადგილი მეტყველებას უკავია, რადგანაც მას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ბავშვის განვითარების პროცესში. იგი აზროვნების მთავარი საყრდენია. სიტყვა და აზრი ერთმანეთისგან განუყოფელია. ბავშვი საკუთარ აზრებს სიტყვის საშუალებით აყალიბებს და აცნობიერებს. გასიტყვება და გააზრება ურთიერთგადაჯაჭვული პროცესებია. ამიტომ, ბავშვის მიერ აზრთა, სურვილთა თუ გრძნობათა სიტყვიერად გამოხატვის ხელშეწყობა მასწავლებლის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. მეტყველების უნარის გასავითარებლად მასწავლებელი, სფერო “მეტყველების” ფარგლებში, გეგმავს კონკრეტულ აქტივობებს, რომელთა მიზანია ბავშვის ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ენობრივი ალღოს განვითარება, გააზრების და გადმოცემის უნარების განვითარება.

სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში ბავშვი მეტყველებს (ლაპარაკობს) და ცდილობს, თავისი სათქმელი სხვებს გააგებინოს, სწავლობს მისკენ მიმართული სიტყვის მოსმენას, გაგებას, პასუხის გაცემას, ასახელებს ირგვლივ არსებულ საგნებს, აღწერს საქმიანობას და განხორციელებულ ქმედებებს, ზეპირად კითხულობს ლექსებს, სათვლელს, თანდათანობით სწავლობს ისეთი ამბების გადმოცემას, რომელიც აწმყოსა და მიმდინარე სიტუაციას არ ეკუთვნის. მაგალითად, ყვება გამოგონილ ამბებს, იხსენებს განვილი ამბავს, საუბრობს მომავალ მოვლენაზე. ბავშვი სწავლობს ახალ სიტყვებს, რის მნიშვნელობასაც მასწავლებელი უზუსტებს, ისმენს და იგებს ზღაპრებს, მასწავლებლის დახმარებით გადმოსცემს მათ ძირითად შინაარსს, ერთმანეთისგან განასხვავებს კითხვას, თხოვნას, ბრძანებას, ახსნა-განმარტებას, თხრობას, განარჩევს ზეპირი და წერილობითი ტექსტების ენას.

მეტყველების განვითარებისა და დაუფლების პროცესში ბავშვი ეუფლება ქართული ენის სინტაქსს, იმდობს ლექსიკას და თანდათანობით სულ უფრო გრძელ და კომპლექსურ წინადადებებს აყალიბებს.

მართლმეტყველებას აღმზრდელი სხვა სფეროს ფარგლებში, ნებისმიერი ტიპის აქტივობის მსვლელობის დროსაც აქცევს ყურადღებას. ბავშვებს უბიძგებს, სიტყვიერად გადმოსცენ, რას საქმიანობენ, რას განიცდიან, რას ფიქრობენ, რა სჭირდებათ და სხვა. ბავშვისთვის მაგალითისა და გამართული მეტყველების მოდელის მიწოდების მიზნით, მასწავლებელი მის მიერ ნათქვამ ნაწყვეტ, დაუმთავრებელ, დაულაგებელ, აუნყოველ წინადადებებს იმეორებს დასრულებული და გამართული ფორმით.

ეს სფერო ითვალისწინებს ბავშვის მომზადებას წერა-კითხვის იმ სისტემური კურსისთვის, რომლის გავლაც მას საგანმანათლებლო სისტემის მომდევნო ეტაპზე, ანუ პირველ კლასში მოუწევს. ამ მიზნით, სამი საკვანძო აქტივობა გამოიყენება.

ეს აქტივობებია: ბგერებზე მუშაობა, ანბანური პრინციპის წვდომა-გაგება და წერისთვის აუცილებელი მორთული უნარების დაუფლება.

ამ სფეროში გამოიყოფა სამი მიმართულება. ესენია:

- **ზეპირი მეტყველება, რომელიც აერთიანებს ორ სამეტყველო ქცევას: მოსმენასა და ლაპარაკს;**
- **წერილი მეტყველება, რომელიც აერთიანებს კითხვასა და წერას;**
- **კულტურათა დიალოგი;**

1.3.2. სფერო-მოსწავლელ ჩამოყალიბება

სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვმა უნდა ისწავლოს წესებით ორგანიზებულ ჯგუფში ცხოვრება და საქმიანობა. უნდა გაიგოს, რა არის სასკოლო გარემო და მას ამ გარემოში რა ადგილი უკავია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა ისწავლოს დამოუკიდებელი ქცევა, მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციების დამოუკიდებლად შესრულება. მოსწავლედ ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მასწავლებლისგან პრინციპულობასაც მოითხოვს და მოქნილობასაც.

ამ სფეროში გამოიყოფა სამი მიმართულება. ესენია:

- ერთად ცხოვრება;
- თანამშრომლობა;
- დამოუკიდებლობა.

1.3.3. სფერო - ფიზიკური განვითარება

ფიზიკური აქტივობა სკოლამდელ განათლებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რადგან ის ხელს უწყობს ბავშვის მოტორულ, სენსორულ, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებას. მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ისეთ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც დროთა განმავლობაში, ბავშვის ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, თანდათანობით რთულდება.

მრავალფეროვანი ფიზიკური აქტივობების წყალობით ბავშვს უვითარდება მოტორული უნარები. ბავშვი გადაადგილდება სხვადასხვა ფორმით (სირბილი, ხტომა, სრიალი, გორაობა, აძრომა), იცავს წონასწორობას, მიზანში ტყორცნის საგნებს და სხვა. სასურველია გუნდური თამაშების მოწყობა, რომლის დროსაც ბავშვები სწავლობენ როგორც საკუთარი მოტორული ქცევის კოორდინირებას, ასევე თანამშრომლობასა და წესების დაცვას.

შემოქმედებითი ხასიათის აქტივობები (რიტმული ცეკვა, სახიობა) შესტიკულაციის, მოძრაობის დაზუსტებასაც უწყობს ხელს და წარმოსახვის განვითარებასაც.

ფიზიკური აქტივობები აუმჯობესებს დროისა და სივრცის შეგრძნებას და აგრეთვე, ხელს უწყობს დროის და სივრცითი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. მაგალითად, ბავშვები განარჩევენ, რა არის მათ უკან, წინ, ზემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ, ახლოს, შორს და სხვა. ასევე, სწავლობენ მასწავლებლის მიერ შედგენილი მარშ-რუტების გავლას.

ამ სფეროში გამოიყოფა ორი მიმართულება. ესენია:

- მოძრაობა-გადაადგილება;
- გამომხატველობითი და რიტმული მოძრაობები.

1.3.4. სფერო - სამყაროს აღმოჩენა

ეს საგანმანათლებლო სფერო გულისხმობს იმ კონკრეტული გარემოს შესწავლას, რომელსაც ბავშვს საკლასო ოთახი და სასწავლო დანესებულება სთავაზობს.

კლასში არის:

- ათასგვარი ნივთი, საგანი (საათი, კალენდარი, წიგნი, ფერადი ფანქარი, ქვიშის საათი, ნებო და სხვ.), რომლის დანიშნულებასაც ბავშვი იგებს, მათ გამოყენებას სწავლობს და თავადაც ახალს ქმნის.
- სხვადასხვა მასალა (ქალაღდი, მუყაო, წყალი, პლასტილინი, მინა და სხვ.), რომელსაც ბავშვი ეხება, სხვადასხვაგვარად და განსხვავებული ინსტრუმენტით ამუშავებს;
- ცოცხალი ორგანიზმები (მცენარე, რაიმე ცხოველი, მაგ., კუ, თევზი, ზღვის გოჭი, აბრეშუმის ჭია, ფრინველი), რომლებსაც უვლის, აკვირდება და მათზე დაკვირვებით აღმოაჩენს ცოცხალი ორგანიზმის ნიშან-თვისებებს (დაბადება, ზრდა, გამრავლება, დაბერება, კვდომა), შეისწავლის სხეულის ნაწილებს, ჰიგიენის და ჯანმრთელობის ელემენტარულ წესებს;

- კალენდარი და დღის წესრიგი, რომლის საფუძველზე იგებს დროის მონაკვეთების თანმიმდევრულ სვლას (დილა, შუადღე, სადილის დრო, ეზოში გასვლის დრო, სახლში წასვლის დრო, საღამო). მომდევნო ეტაპზე სწავლობს დღეების და თვეების ცვლას, სეზონების ციკლურ ასპექტს, განასხვავებს ანმეოს ახლო წარსულისგან;
- დანესებულების ნაწილები (ეზო, სასადილო, საკლასო ოთახები, საპირფარეო და სხვ.), სადაც გადაადგილდება; საგნები, რომელთა ადგილმდებარობას აზუსტებს ჯერ საკუთარ თავთან მიმართებაში, მოგვიანებით კი ათვლის სხვა წერტილთან მიმართებაში; ამ ყველაფერზე დაფუძნებით სწავლობს სივრცეში ორიენტირებას, ადგილმდებარეობის განსაზღვრას, მარშრუტის აღწერას, მარჯვენასა და მარცხენას;
- საკლასო გარემოში არსებული საგნების გამოყენებით ის აღმოაჩენს ზომას და ფორმებს, რაოდენობას და რიცხვებს. საგნების გამოყენებით ასრულებს სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციას - ამ საგნებს გარკვეული კრიტერიუმით აჯგუფებს, ითვლის, ანაწილებს, აგროვებს, ერთმანეთს ადარებს, აკლებს, ამატებს და სხვა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ცოცხალს და არაცოცხალს, იყენებს დროით და სივრცით ორიენტირებას, იწყებს სააზროვნო ოპერაციების და რაციონალური აზროვნების შედეგად მიღებული ინტელექტუალური სიამოვნების გაცნობიერებას.

ამ სფეროში გამოიყოფა ექვსი მიმართულება. ესენია:

- ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა;
- სხეულები და მოვლენები;
- დედამიწა და გარემო;
- სივრცეში და დროში ორიენტირება
- რაოდენობა და რიცხვები;
- კანონზომიერებები;
- ფიგურების აღქმა.

I.3.5. სფერო - ხელოვნება

სკოლამდელი განათლება ბავშვს სთავაზობს პირველ შეხებას ხელოვნებასთან. ეს სფერო მჭიდრო კავშირშია სხვა სფეროებთან: იგი ასაზრდოებს ცნობისმოყვარეობას სამყაროს აღმოსაჩენად, ავითარებს მოტორიკას, უბიძგებს ბავშვს, ისაუბროს თავის არჩევანზე, გემოვნებაზე, რეაქციებზე, აღწეროს თავისი ნამუშევრები.

ბავშვებმა უნდა გამოცადონ სხვადასხვა ინსტრუმენტი, პროცედურა, მასალა. მათ უნდა აღმოაჩინონ და შექმნან ნახატები, სხვადასხვა სახის საგანი, რელიეფური კოლაჟი, ნაძერწი და სხვა.

ვოკალური აქტივობებისათვის გამოიყენება ტრადიციული და თანამედროვე სასიმღერო რეპერტუარი. ბავშვებისათვის სიმღერა დიდი სიამოვნებაა. მათ უყვართ ბგერებთან და რიტმებთან თამაში. მოსმენა ემსახურება სმენის განვითარებას, აუმჯობესებს ბგერათა დისკრიმინაციის უნარს და სმენით მეხსიერებას.

სმენითი, მხედველობითი, ტაქტილური, ვოკალური, რიტმული აქტივობები ავითარებს ბავშვის შეგრძნებებს, შემოქმედებით უნარებს, ნატიფ მოტორიკას, აუმჯობესებს კონცენტრაციისა და ყურადღების მობილიზების უნარებს, ამდიდრებს წარმოსახვას, რაც, თავის მხრივ, ზრდის პრობლემების გადაჭრის უნარიანობას.

დაკვირვებისა და მოსმენის გზით ბავშვი ეცნობა ხელოვნების მრავალფეროვან ფორმებს, იძენს პირველ ორიენტირებას ხელოვნების სამყაროში.

ამ სფეროში გამოიყოფა ორი მიმართულება. ესენია:

- ხედვა და კეთება;
- ხმა და სმენა.

II. კომპეტენციები სწავლების მიხედვით

ორი ასაკობრივი (სამი-ოთხი და ხუთი-ექვსი წლის) ჯგუფისთვის სწავლების ძირითადი მიმართულებების მიხედვით მისაღწევი შედეგები და ამ შედეგების შესამოწმებელი ინდიკატორები.

II.1. სამი-ოთხი წლის ასაკის ბავშვის კომპეტენციები

II.1.1 სწავრო – მეტყველება

მიმართულება: ზეპირი მეტყველება

შედეგი 1. საკომუნიკაციო სიტუაციებში ბავშვი იქცევა ადეკვატურად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იგებს და ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს (მაგ., *მოიტანე ფერადი ფანქრების ყუთი და სახატავი რვეული, პალტო დაკიდე საკიდზე, ნიგნი დადე თაროზე*);
- სწორად აღიქვამს შესტ-მიმიკის ენას (მაგ., *მასწავლებელს სახეზე აწერია უკმაყოფილება/კმაყოფილება*);
- საკუთარ თავზე საუბრისას იყენებს პირველ პირს;
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას (მომწონს/არ მომწონს) და ხსნის მიზეზს;
- გამოთქვამს თავის სურვილს, სიტყვიერად გამოხატავს საკუთარ მდგომარეობას (მაგ., *მშია, მეძინება და სხვ.*);
- პასუხობს მასწავლებლის კითხვებს;
- მასწავლებლის დახმარებით ბოლომდე ამბობს სათქმელს.

შედეგი 2. ბავშვი ამჟღავნებს ზეპირად მეტყველების სურვილსა და უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აღწერს მის გარშემო მიმდინარე ამბებს, საქმიანობებს, მოვლენებს (მაგ. *დღეს კარგი ამინდია, გიას ბურთის თამაში უნდა, ბავშვები ეზოში გავიდნენ, ნანა სათამაშოებს ინახავს, მე წითელი ბურთი დავხატე*);
- მიღებული ინფორმაციის დასაზუსტებლად სვამს კითხვებს: *სად? როდის? რატომ?*
- მონაწილეობს წარმოსახვით თამაშებში (მაგ. *სახლობანა, მძღოლობანა*), როლურ თამაშებში იყენებს *სათამაშოს, როგორც ნამდვილ საგანს*;
- სვამს კითხვებს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად;
- გადასცემს მარტივ შეტყობინებას მასწავლებელს/მშობელს/თანატოლს.

შედეგი 3. ბავშვს შეუძლია ტექსტების ზეპირად კითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- წარმოთქვამს ენის გასატეხებს, ანდაზებს, გამოცანებს;
- ზეპირად კითხულობს ლექსებს, სათვლელებს, ასრულებს სიმღერებს;
- ზეპირად გაითამაშებს მარტივ დიალოგებსა და სცენებს;
- ტექსტებს გარკვევით წარმოთქვამს, იცავს შესაბამის ინტონაციებს, რიტმებს.

შედეგი 4. ბავშვს შეუძლია გაიგოს და გადმოსცეს ისეთი ამბები, მოვლენები, ფაქტები, რომლებიც ახლო წარსულს ან ახლო მომავალს ეკუთვნის, რომლებიც არ ხდება აქ და ამჟამად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მასწავლებლის დახმარებით ჰყვება უახლოეს წარსულში მომხდარ ამბავს, აღწერს მოვლენას, რომლის მონაწილეც იყო;
- აღწერს საგანს, ცხოველს, ადამიანს, რომელსაც იმ მომენტში ვერ ხედავს. (მაგ., ჩემი ძაღლი დიდა და შავი ფერისაა, მას გრძელი ყურები აქვს);
- ავლენს წარსულის ცოდნას (მაგ., მე რომ პატარა ვიყავი . . .);
- ვარაუდობს რაიმე ქცევასთან დაკავშირებულ შესაძლო შედეგს (მაგ., სათამაშო რომ დავავდო, გატყდება);
- პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- იგებს საგნის, ადამიანის გარეგნობის, მოვლენის აღწერილობას;
- იგონებს/თხზავს პატარა ამბავს, ან ცვლის კონკრეტული ამბის დასაწყისს ან დასასრულს.

შედეგი 5. ბავშვს გამომუშავებული აქვს ზეპირი და წერიტი მეტყველებისთვის აუცილებელი ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მოსმენისას სამეტყველო ნაკადში გამოარჩევს წინასწარ მითითებულ სიტყვას (მაგ., შემოჰკრავს ტაშს, როდესაც გაიგონებს სიტყვას — „სკამი“);
- ნაცნობ სიტყვას დაყოფს მარცვლებად, მარცვლებს გააერთიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს და ტაშის დაკვრით დაითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას;
- რიტმული დამარცვლით ამბობს ტექსტს/ლექსს, სათვლელს;
- მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ან სურათებზე ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომელიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს;
- ამოიცნობს მითითებულ ბგერას ლექსში, წინადადებაში.

შედეგი 6. ბავშვს გამომუშავებული აქვს ზეპირი მეტყველებისთვის საჭირო ენობრივი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- საუბარში იყენებს ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს, (მაგ., ადგილის ზმნიზედებს “ახლოს”, “შორს”, “ზემოთ”, “ქვემოთ”, “გვერდით”; მიცემითი ბრუნვის თანდებულებიან ფორმებს: სახლ-ში, ხე-ზე, სახლთ-თან);
- მოქმედების დროს აზუსტებს დროის ზმნიზედების გამოყენებით (მაგ., დღეს, ხვალ, ახლა, მალე, დილას, საღამოს);
- საგნების, მოვლენების, ადამიანების შესაფასებლად იყენებს ზედსართავ სახელს (მაგ., დიდი მანქანა, კეთილი ბები, ლურჯი ბურთი);
- აღნიშნავს საგანთა სიმრავლეს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით (რიცხვის გრამატიკული კატეგორიის მანარმოებლით: ბურთ-ებ-ი; ან ზუსტად ასახელებს რაოდენობას რიცხვითი სახელის მოშველიებით: ორი ბავშვი);
- ესმის სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების და თანდებულების (შიგნით, გარეთ, ზემოდან, ქვეშ) მნიშვნელობა;
- იყენებს კუთვნილების გამომხატველ ენობრივ საშუალებებს: კუთვნილებით ნაცვალსახელს, სახელის ნათესაობით ფორმას (მაგ., ჩემი ბურთი, ვანოს ფანქარი);
- იყენებს ზმნით გამომხატული მოქმედების შესაფასებლად ვითარების ზმნიზედებს (მაგ., ნელა, კარგად, სწრაფად);
- იყენებს ემოციების გამომხატველ სიტყვებს (მაგ., მეშინია, გამიხარდა);
- იყენებს ზმნას მოქმედების და მდგომარეობის გამოსახატავად;

- ამბობს მრავალსიტყვიან მარტივ წინადადებებს;
- ქმნის წინადადებას, ანუ სიტყვებს აკავშირებს ერთმანეთთან აზრობრივად და სინტაქსურად - სწორად იყენებს ქვემდებარის ბრუნვას, ათანხმებს არსებითსა და ზედსართავ სახელებს ბრუნვასა და რიცხვში, ქვემდებარესა და ზმნას - რიცხვში (*მაგ., ბიჭები მოდიან, ბიჭი მოდის, ბიჭმა სათამაშო მათხოვა*);
- იყენებს რთულ ქვენყობილ წინადადებას უკავშიროდ (*მაგ., დედას ვთხოვ სათამაშო მიყიდოს; ვნახო, რამდენი კანფეტი მაქვს*);
- იგებს ყოველდღიურ, სასკოლო და სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ლექსიკას (*მაგ., საგნების, ქმედებების, თვისებების მახასიათებლების, გრძნობების, დროის ცვლის გამომხატველი ლექსიკა*);
- ასახელებს ყოველდღიურ აქტივობასთან დაკავშირებულ საგნებსა და ქმედებებს.

მიმართულება: წერიტი მეტყველება (კითხვა და წერა)

შედეგი 7. ბავშვი გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი მასალის მიმართ და ესმის მისი სიმბოლური მნიშვნელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- სიამოვნებით უსმენს ზღაპრებს;
- ასახელებს, რომელი ზღაპრის მოსმენა სურს;
- გამოთქვამს საკუთარ აზრს, ზღაპრის რომელი ნაწილი მოეწონა, რომელი - არა;
- წარმოსახვითი თამაშისას იყენებს წიგნებს, ვითომ თავის „შვილს ზღაპარს უკითხავს“;
- ასახელებს, მოჩვენებითად „კითხულობს“ თავისი საყვარელი წიგნის სათაურს;
- ათვალთქვამს წიგნის ილუსტრაციებს, აღწერს მათ;
- წიგნის ილუსტრაციებზე ცნობს პერსონაჟებს, სიტყვიერად ხსნის, რომელი პერსონაჟია;
- ცნობს ილუსტრაციებით გამოხატულ ეპიზოდს;
- თაროდან გადმოაქვს წიგნები და ათვალთქვამს;
- ცნობს ისეთ ნიშნებს, მცირე ზომის სიტყვებს და სიმბოლოებს, რომელიც ყოველდღე ხვდება ან მუდმივად არის კლასში გამოკრული (*მაგ., სათამაშო ან ჯგუფების ოთახებში გამოკრული სიმბოლო, რომელიც კონკრეტულ წესზე მიუთითებს*);
- ცნობს ზოგიერთ ასოს;
- განასხვავებს ასოებს და ციფრებს;
- აცნობიერებს, რომ წიგნის ნაკითხვისას ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვები უკავშირდება ნაბეჭდ ტექსტს.

შედეგი 8. ბავშვს შეუძლია გაიგოს, რომ მედიასაშუალებებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და განსხვავებული მიზნით გამოიყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- პოულობს ყოველდღიურ გარემოში არსებულ სხვადასხვა საგანს, რომელზედაც გამოსახულია წერილობითი ტექსტი (*მაგ., დაფა, სახატავი რვეული, კომპიუტერის ეკრანი, საბავშვო წიგნი, აბრა, სათამაშოს ყუთი, მოკოლადის ქაღალდი და სხვ.*), ასახელებს მათ დანიშნულებას;
- არჩევს ერთმანეთისგან გაზეთს, ჟურნალს, სახატავ რვეულს, ილუსტრირებულ წიგნს;
- ამოიცნობს ადგილებს, სადაც გვხვდება დასახელებული საგნები;
- ამოიცნობს სიტუაციებს, რომელშიც ეს მედიატექსტები გამოიყენება (*მაგ., აბრა ქუჩაში, დაფა საკლასო ოთახში*);
- სხვადასხვა ნიშანს და სიმბოლოს აღიქვამს, როგორც ინფორმაციის წყაროს;
- განარჩევს საბავშვო ჟურნალს უფროსებისთვის განკუთვნილი ჟურნალისგან, ასახელებს იმ ელემენტებს, რის დახმარებითაც ამას მიხვდა;

შედეგი 9. ბავშვი ავლენს ინტერესს წერიითი მეტყველების მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ხმამაღლა გამოთქვამს საკუთარ იდეებს, აზრებს, ამის ჩაწერას სთხოვს უფროსებს და შემდეგ აკითხებს;
- უფროსებს სთხოვს, წარწერა გაუკეთონ მის ნამუშევარს;
- უფროსს სთხოვს, დაუწეროს სიტყვები (*მაგ., აჩვენოს, როგორ იწერება მისი სახელი*).

შედეგი 10. ბავშვს გამომუშავებული აქვს წერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ცდილობს სწორად დაიჭიროს და მოიხმაროს ესა თუ ის საწერი საშუალება (კალმისტარი, ცარცი, ფანქარი, ფლომასტერი);
- ხატვისას/წერისას იღებს მისთვის მოხერხებულ, კომფორტულ პოზას;
- რამდენიმე მსხვილი წერტილის შეერთებით აკეთებს მარტივ კონტურს;
- ხატავს წრეს, ოთხკუთხედს;
- მოცემულ ნიმუშს ამსგავსებს საკუთარ სახელს;
- თამაშისას იყენებს ე.წ. წარმოსახვით წერას;
- თამაშობს ასაწყობი ანბანით.

II.1.2. სწავრო - მოსწავლედ ჩამოყალიბება

მიმართულება: ერთად ცხოვრება

შედეგი 1. ბავშვს შეუძლია განახორციელოს ერთად ცხოვრების ზოგიერთი პრინციპი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ცდილობს გაუფრთხილდეს ნივთებს, წიგნებს, საკლასო მასალას;
- იცის, რომ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა წესი მოქმედებს (თეატრში, საბავშვო ბაღში, ოჯახში და სხვ.);
- ეხმარება აღმზრდელს, თანატოლს;
- იცავს წესებს და მოითხოვს, რომ სხვებმაც დაიცვან წესი (*მაგ., იამ დადოს სათამაშო თავის ადგილას*);
- ავლენს მასალების მიზნობრივად და ცივილიზებულად გამოყენების მზარდ უნარს.

შედეგი 2. ბავშვი ენდობა ნაცნობ უფროსებს და ადვილად ამყარებს მათთან ურთიერთობას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- არ ამყლავნებს ძლიერ შფოთვის მისთვის ახლობელ უფროსებთან დროებით განშორებისას;
- უფროსს აძლევს საშუალებას, რომ დაეხმაროს დავალების შესრულებაში;
- ამყლავნებს სიყვარულს მისთვის ახლობელი უფროსების მიმართ;
- უფროსს დახმარებას სთავაზობს საკუთარი ინიციატივით;
- გამოხატავს, რას განიცდის უფროსების მიმართ (*მაგ., მე მიყვარს ბებო*).

შედეგი 3. ბავშვი ითხოვს უფროსის დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ხშირად სვამს შეკითხვებს ინფორმაციის მისაღებად;
- ემორჩილება უფროსის მითითებებს;
- ამახვილებს უფროსის ყურადღებას პრობლემურ სიტუაციაზე;
- იღებს რჩევებს ნაცნობი უფროსისაგან;
- უფროსს უზიარებს თავის განცდებს *(მაგ., კითხვაზე, რატომ ზიხარ ასე მობუზული, შეუძლია უპასუხოს: ირაკლიმ მითხრა — შენი დედა აღარ მოვა, აქ დაგტოვებსო)*.

შედეგი 4. ბავშვი ავლენს კონფლიქტის გადაჭრის უნარს მოლაპარაკების გზით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- პოზიტიურად ეპყრობა სხვა ბავშვებს;
- უფროსის დახმარებით უნაწილებს მასალებს, სათხოვებლად იმეტებს და უცვლის სხვადასხვა ნივთსა თუ სათამაშოს თანატოლებს, თამაშის დროს იცავს რიგითობას;
- იყენებს მარტივ და განსხვავებულ სტრატეგიებს პრობლემის გადასაჭრელად *(მაგ., ითხოვს უფროსის დახმარებას, როდესაც არ რთავენ ნებას ითამაშოს ან ხელს უშლიან თამაშში)*;
- უფროსის დახმარებით აწარმოებს, „მართავს მოლაპარაკებას“ სხვა ბავშვებთან პრობლემის გადასაჭრელად;
- შეუძლია საკუთარი პოზიციის ახსნა.

მიმართულება: თანამშრომლობა**შედეგი 5. ბავშვს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი ქცევა და მისი შედეგები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ავლენს, რომ მისთვის გასაგებია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ორ მოქმედებას შორის;
- აღწერს შემთხვევას, როდესაც მისი ქცევა საფუძვლად უდევს, განაპირობებს სხვის საქციელსა და ემოციას *(მაგ., ლუკას ეწყინა, როდესაც მე უარი ვუთხარი დაჭერობანას თამაშზე)*;
- აღწერს (აღნიშნავს და ყვება) სხვა ბავშვის კარგ საქციელს;
- ცდილობს დააწყნაროს თანატოლი, რომელიც ნაწყენია ან ცუდად არის.

შედეგი 6. ბავშვს შეუძლია თანატოლებთან თანამშრომლობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ერთვება ჯგუფურ თამაშებში, ერგება სხვადასხვა როლს (ლიდერის ან რიგითი მონაწილის);
- შეუძლია შეუერთდეს სხვადასხვა თამაშით დაკავებული ბავშვების ჯგუფს;
- სიახლის მიმართ გამოხატავს ინტერესს, სვამს კითხვებს;
- ჯგუფური საქმიანობის დროს ელოდება თავის რიგს (იცავს რიგითობას, ამჟღავნებს მოთმინებას);
- უფროსის მიერ ორგანიზებულ თამაშში იცავს წესებს და ელოდება თავის რიგს.

შედეგი 7. ბავშვს შეთვისებული აქვს ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო მოქმედებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მონაწილეობს მარტივ საქმიანობებსა და მოქმედებებში დამოუკიდებლად, საკუთარი სურვილით (მაგ., ნახემსების შემდეგ ეხმარება უფროსს მაგიდის ალაგებაში);
- მარტივ წესებს იცავს შეხსენების გარეშე (მაგ., *იბანს ხელს ჭამის წინ*), კარგად ესმის საგნების დანიშნულება და იცის მათი გამოყენება (მაგ., *არ ერთობა წიგნის დახვევით*);
- დღის განრიგში ცვლილებები არ აფრთხობს და ამის გამო არ ჭირვეულობს;
- იცის, რა იქნება შემდეგ, რადგან დღის განრიგი მეორდება.

შედეგი 8. ბავშვი ავლენს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- უერთდება უკვე დანყებულ თამაშს და ეძებს საკუთარ როლს (ადგილს);
- თამაშის დროს შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს როლი;
- შეხსენების ან თხოვნის გარეშე, თვითონ სთავაზობს უფროსს დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (მაგიდის ალაგებასა თუ ოთახის დალაგებაში);
- მოიპოვებს მასალას თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ., *აპლიკაციის გასაკეთებლად ეძებს ფერად ფურცლებს*);
- შემოთავაზებული მასალიდან დამოუკიდებლად ირჩევს, რომელი გამოიყენოს (მაგ., *პასტელებით ხატოს თუ ფანქრებით*).

შედეგი 9. ბავშვს შეუძლია თავისი გრძნობებისა და იმპულსების მართვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ასახელებს საკუთარ ემოციებს (მაგ., *„მე დღეს კარგ ხასიათზე ვარ“*) და ცდილობს გააკონტროლოს საკუთარი თავი უფროსის მცირე დახმარებით;
- ძლიერი განცდების შემდეგ ცდილობს, დაწყნარდეს და იღებს უფროსის დახმარებას (მაგ., *როდესაც გაბრაზებულია, მიდის წყნარ ადგილას ან მოაქვს წასაკითხად საყვარელი წიგნი*).

შედეგი 10. ბავშვს შეუძლია მოცემულ ამოცანაზე შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება ხელისშემშლელ პირობებსა და წარუმატებლობის შემთხვევაშიც.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აგრძელებს საქმიანობას 5 -15 წუთის განმავლობაში; უბრუნდება დანყებულ საქმიანობას, რომელიც შეაწყვეტინეს (მაგ., *კუბებით შენებას ან ხატვას*);
- აგრძელებს მცდელობას, რათა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და ამოცანა წარუმატებლობის შემთხვევაშიც გადაჭრას;
- ჭამის დროს მეტწილად მშვიდად ზის, არ ცელქობს.

II.1.3. სწავრო - ფიზიკური განვითარება

მიმართულება: მოძრაობა-გადაადგილება

შედეგი 1. ბავშვს შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართული, კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ფეხს ურტყამს ბურთს;
- ისვრის და იჭერს დიდი ზომის ბურთს;
- ძვრება საგნების ქვეშ და სათამაშო გვირაბში;
- ადის კიბეებზე დამოუკიდებლად, ფეხის მონაცვლეობით;
- ხტუნაობს და დგას ცალ ფეხზე 5 წამს, ახტება პატარა საგანს;
- ხტუნაობისას ანაცვლებს ფეხს (ხან ერთ ფეხზე ხტება, ხან — მეორეზე);
- დადის უკუსვლით;
- თავიდან ბოლომდე მიუყვება განიერ ფიცარს;
- ატარებს 3-თვლიან ველოსიპედს.

მიმართულება: გამომხატველობითი და რიტმული მოძრაობები

შედეგი 2. ბავშვს შეუძლია რიტმული მოძრაობების შესრულება და მართვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მუსიკის თანხლებით ასრულებს რიტმულ მოძრაობებს;
- მუსიკის ტემპის კვალდაკვალ ცვლის მოძრაობის რიტმს;
- მოძრაობით, ჟესტებით წარმოადგენს ნაცნობ საგანს;
- ბაძავს ცხოველის, ფრინველის მოძრაობას.

II.1.4. სწავრო - სამყაროს აღმოჩენა

მიმართულება: ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა

შედეგი 1. ბავშვი შეისწავლის ადვილად დაკვირვებადი ნიშნების/მახასიათებლების მიხედვით მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- სვამს შეკითხვებს ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ (*მაგ., რატომ გაყვითლდა ხეზე ფოთოლი?*);
- აკვირდება საკლასო ოთახში და/ან ბუნებრივ გარემოში მცენარეებისა და ცხოველების მრავალფეროვნებას;
- სიტყვიერად გადმოსცემს დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს;
- ამჩნევს ადამიანების გარეგნობის ადვილად დაკვირვებად ნიშან-თვისებებს (*მაგ., სიმაღლეს, ასაკს, თმის სიგრძეს, თმის ფერს, თვალის ფერს*);
- შეუძლია ცოცხალი ორგანიზმი მიაკუთვნოს რომელიმე კატეგორიას (*მაგ., ძაღლები, კატები და ძროხები - ცხოველებია*);
- ყურადღებით დამზრუნველობით ეპყრობა ცოცხალ ორგანიზმებს დაკვირვების დროს (*მაგ., მცენარეებს არ კიდებს ხელს უხეშად, არ ამტვრევს ტოტებს და არ ამოგლეჯს ბალახს ფესვიანად*).

მიმართულება: სხეულები და მოვლენები

შედეგი 2. ბავშვი შეისწავლის მასალებს, ნივთიერებებს და მის უშუალო გარემოში მომხდარ მოვლენებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ინტერესდება, ატარებს „ექსპერიმენტებს“, რათა თავად გაერკვეს ზოგიერთი მოვლენისა და საგნის არსში, ცდილობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ამისთვის სხვადასხვა ხერხს იყენებს;
- აინტერესებს ბუნებაში არსებული ისეთი მასალები/ნივთიერებები, როგორცაა: ქვა, ქვიშა, წყალი და ა.შ. ხშირად თამაშობს და მათ თვისებებს შეისწავლის;
- მოსწონს სხვადასხვა მასალასთან ხელით მანიპულირება (მაგ., თამაშობს წყლით, საპნის ბუშტებით, ფხვიერი მასალებით, ცომით და პლასტილინით);
- სხვადასხვა საგანს შესძენს განსხვავებულ ფუნქციას და ქმნის რაღაც ახალს (მაგ., აწყობს კარავს მაგიდის ქვეშ ზეწრისა და გადასაფარებლის გამოყენებით);
- აკვირდება უფროსების ცდებს და აღწერს თავის დაკვირვებას (მაგ., მასწავლებელმა შეურიდა ორი ფერის საღებავი, ბავშვი ამბობს: „ყვითლისა და ლურჯის შერევით მივიღებთ მწვანეს“).

მიმართულება: დედამიწა და გარემო

შედეგი 3. ბავშვი შეისწავლის მის უშუალო ბუნებრივ გარემოს და ამ გარემოში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აკვირდება ბუნების მოვლენებს (მაგ., სვამს კითხვას: რატომ წვიმს?);
- შესაბამისი სიტყვების გამოყენებით შეძლებს საუბარს ნელინადის დროებზე და აღწერს მათთვის დამახასიათებელ ამინდს (მაგ., მზიანი, წვიმიანი, თოვლიანი);
- განასხვავებს, ადამიანის ქმედებებიდან რომელი არის გარემოსთვის უსაფრთხო და რომელი – საფრთხის შემცველი (მაგ., ნაგვის დაყრა აზიანებს მცენარეებს; წყლის დასხმა, მოვლა ხელს უწყობს ზრდას);
- შესაბამისად იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს (მაგ., დიდი კენჭი, პატარა კენჭი).

მიმართულება: სივრცეში და დროში ორიენტირება

შედეგი 4. ბავშვი განასხვავებს მოვლენათა მიმდინარეობის დროს: წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- შეუძლია თანმიმდევრულად მოყვეს, თუ როგორ მიმდინარეობდა რაიმე მარტივი ამბავი ან მოვლენა;
- მეტყველებისას იყენებს დროსთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., დღე და ღამე, დილა, საღამო);
- იყენებს ისეთ ფრაზებს, რომლებიც მიუთითებს, რომ წარსული იცის (მაგ., „მე რომ პატარა ვიყავი...“).

შედეგი 5. ბავშვს შეუძლია როგორც თავისი, ასევე გარემოს ობიექტების მდებარეობის აღქმა და საგნებს შორის სივრცითი მიმართებების დადგენა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვმა:

- იცის, რომელი საგანი, რომელ ადგილას უნდა განთავსდეს დანიშნულების მიხედვით (მაგ., გაზქურა — სამზარეულოში, საწოლი — საძინებელში, ხე — პარკში);

- საუბრისას იყენებს ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „ახლოს“; „შორს“; „ზემოთ“; „ქვემოთ“; „გვერდით“;
- იცის იმ ქალაქისა თუ სოფლის სახელი, სადაც ცხოვრობს;
- იცის, რომ გზებს თავიანთი საგზაო ნიშნები და სახელები აქვთ, სახლებს კი — ნომრები;
- შეუძლია ფურცელზე ორიენტირება (შეასრულა ინსტრუქცია: დახატე ფურცლის ზედა ნაწილში მზე; მას შემდეგ, რაც ბავშვმა შეასრულა ინსტრუქციის პირველი ეტაპი: დახატე მზის გვერდით — ღრუბელი; მას შემდეგ, რაც ბავშვმა შეასრულა ინსტრუქციის მეორე ეტაპი: დახატე ქვემოთ — ბალახი).

მიმართულება: რაოდენობა და რიცხვები

შედეგი 6. ბავშვს შეუძლია ჩამოთვალოს მთელი რიცხვები, გამოიყენოს 1-ის ტოლი ბიჯით თვლა და დაითვლოს 0-დან 10-მდე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:


- ასახელებს რიცხვებს 0-დან 10-მდე;
- იყენებს რიცხვებს და ითვლის ყოველდღიურ ცხოვრებაში (მაგ., მასწავლებელთან ერთად ითვლის ბავშვებს, რომელთაც ხელი აწეული აქვთ);
- შეძლებს საგნების გროვების დახასიათებას და შედარებას (მაგ., ესმის, რას ნიშნავს ყველა, არცერთი, ბევრი, ცოტა, ტოლი);
- გაიგებს, რომ რიცხვი აღნიშნავს რაოდენობას (მაგ., იღებს სამ ვაშლს ყუთიდან);
- განასხვავებს ასოებს ციფრებისგან.

მიმართულება: კანონზომიერებები

შედეგი 7. შეუძლია მსგავსებისა და განსხვავების შემჩნევა საგანთა ერთობლიობაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- საგანთა გროვიდან მსგავსი ფერის საგნებს ირჩევს;
- საგანთა გროვიდან მსგავსი ფორმის საგნებს ირჩევს;
- რაიმე წესით შექმნილ საგანთა გროვაში განსხვავებულ ერთეულს პოულობს და ასახელებს.



(მაგ. „აქ გული ზედმეტია“).

მიმართულება: ფიგურების აღქმა

შედეგი 8. ბავშვს შეუძლია ამოიცნოს ფიგურები განსხვავებულ სიტუაციებში და დახატოს/შექმნას დასახლებული ფიგურები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ასახელებს და ცნობს წრეს, ოთხკუთხედს, სამკუთხედს;
- აკვირდება კუბურას, ბურთს და ხედება, რომ ერთი უფრო ადვილად გორავს, ვიდრე მეორე;
- შეუძლია ნიმუშით სარგებლობა ხატვის ან ძერწვის დროს (მაგ., წრის ან ოთხკუთხედის გადახატვა; ბურთის ან ჩურჩხელას გამოძერწვა);
- ბუნებაში გამოარჩევს არაგეომეტრიულ ფორმებს და აღწერს მათ.

II.1.5. სწავრო - ხელოვნება

მიმართულება: ხედვა და კეთება

შედეგი 1. ბავშვს შეუძლია ხელის მოძრაობის სხვადასხვა მასალასა და იარაღზე ადაპტირება და მათი მიზანმიმართულად და შემოქმედებითად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იმეორებს ერთი სახის მოქმედებას მრავალჯერ (მაგ., მთელ ფურცელს ფარავს ერთი ფერით ან ერთნაირი ფორმებით, მაგ., წრეებით);
- ქმნის სქემატურ ნახატებს და ხშირ შემთხვევაში ეს ნახატი ჰგავს ნაგულისხმევ საგანს. ამასთან, დიდი რაოდენობით იყენებს სხვადასხვა ფერს;
- იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას პლასტილინით ან თიხით;
- აწყობს მარტივ სურათს ან 8-10 ნაწილისგან შემდგარ „ფაზელსა“ და მოზაიკას;
- ნიმუშის მიხედვით შეუძლია კუბურებით სახლის, კოშკის ან სხვა საგნის აშენება;
- იხატავს გეომეტრიულ ფიგურებს (წრე, კვადრეტი);
- თოჯინას ხდის, აცმევს ტანსაცმელს;
- აწყობს 10-12-ნაწილიან კონსტრუქტორს;
- აკეთებს მარტივ აპლიკაციებს.

შედეგი 2. ბავშვს შეუძლია სხვადასხვა წარმომავლობისა და სახის ხელოვნების ნიმუშის ცნობა და გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ახარისხებს სხვადასხვა სახის სურათს (მაგ., ფოტო, ფერწერა, გრაფიკა, აპლიკაცია);
- ერთი და იმავე სახის კოლექციაში პოულობს ზედმეტს;
- პოულობს კონკრეტული ნიშნით მსგავს სურათებს (მაგ., საერთო თემა, გამოყენებული ტექნიკა ან მასალა);
- ადარებს სურათებს და პოულობს მსგავსებებს/განსხვავებებს;
- ამოიცნობს და ასახელებს ნამუშევარში წარმოდგენილ თემას (მაგ., ბუნების სურათი, პორტრეტი, ბრძოლა).

შედეგი 3. ბავშვს შეუძლია ნამუშევრებში გადმოცემული აზრის, განცდის აღქმა და სიტყვიერად გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ახსნის, რა არის მის ნახატზე გამოხატული;
- აკვირდება ნახატს, ამჩნევს დეტალებს, მარტივად აღწერს, რა არის მასზე გამოხატული;
- თანატოლს უსვამს შეკითხვებს მისი ნახატის შესახებ (რა დახატე? რითი დახატე?).

მიმართულება: ხმა და სმენა**შედეგი 4. ბავშვს შეუძლია აღიქვას ხმის განსხვავებული ჟღერადობები, რიტმული ნახაზები და მიბადოს მათ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ამოიცნობს ხმის წარმოქმნის წყაროს (*მაგ., წყაროს ჩუხჩუხი, წვიმის წვეთების წკაპუნი, წრუნუნას წრიპინი, ჩიტის ჭიკჭიკი*);
- ბაძავს ხმის სხვადასხვა ჟღერადობას;
- უსმენს მუსიკას და ცდილობს იმოძრაოს მის რიტმში.

შედეგი 5. ბავშვი ფლობს სათვლულების, სიმღერების მრავალფეროვან რეპერტუარს, შეუძლია მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით შესრულება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მღერის სათვლულებს;
- მღერის მარტივ, ერთხმიან სიმღერებს მასწავლებელთან/თანატოლებთან ერთად;
- ტაშით, რიტმული მოძრაობით აჰყვება მუსიკას;
- სიმღერის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, სხეულის მოძრაობას;
- მონაწილეობს ჯგუფურ მუსიკალურ აქტივობაში, ცდილობს დაუკრას მუსიკალურ ინსტრუმენტებზე.

შედეგი 6. ბავშვი აცნობიერებს ნიშანთა განსხვავებული სისტემების (მუსიკა, მხატვრობა, სიტყვიერება) საერთო დანიშნულებას და მუსიკისა თუ მხატვრობის ენით და სიტყვიერად გადმოცემულ ინფორმაციას ერთმანეთთან აკავშირებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- უსმენს მუსიკალურად გაფორმებულ ზღაპარს, ავლებს პარალელს მუსიკაში გამოხატულ განწყობასა და კონკრეტული ეპიზოდის შინაარსს შორის;
- ტექსტის გარეშე უსმენს ზღაპრის მუსიკის ნაწყვეტს და ამოიცნობს, ზღაპრის რომელ ეპიზოდს შეესაბამება. შეთავაზებულ მუსიკალურ ნაწყვეტს უსადაგებს ნაცნობი ზღაპრის კონკრეტულ ამბავს, მოვლენას, პერსონაჟს.

II. 2. სუთი-ექსნი წლის ასაკის ბავშვის კომპეტენციები

II.2.1. სწარო – მითყველება

მიმართულება: ზეპირი მითყველება

შედეგი 1. ბავშვი იქცევა ადეკვატურად საკლასო, საკომუნიკაციო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ითვალისწინებს მასწავლებლის ნათქვამს;
- პასუხობს მასწავლებლის კითხვებს;
- სპონტანურად ერთვება საუბარში სხვადასხვა სიტუაციაში;
- აცდის სხვას სათქმელის დასრულებას;
- სიტყვის სათქმელად ელოდება თავის ჯერს;
- სათქმელს ბოლომდე ამბობს;
- რჩება სასაუბრო თემის ფარგლებში;
- ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ლექსიკას;
- ცდილობს გამოიყენოს ახლად ნასწავლი სიტყვები კონტექსტის შესაბამისად;
- გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით;
- იგებს მასწავლებლის ახსნა-განმარტებას დამხმარე საშუალებებზე დაყრდნობით (თვალსაჩინოება, მოდელირება, გამოცდილება და სხვ.);
- ხსნის, რას აკეთებენ თვითონ და მისი მეგობარი მიცემულ ინსტრუქციასთან/დავალბასთან მიმართებაში;
- სვამს კითხვებს კონკრეტული საკითხის გასარკვევად/დასაზუსტებლად;
- ამოიცნობს სიტუაციას, რომელიც პრობლემატურია და აყალიბებს, რაში მდგომარეობს პრობლემა (მაგ., უჯრა არ ილება);
- ითვალისწინებს განსხვავებულ მოსაზრებას;
- მონაწილეობს როლურ თამაშებში;
- იცის, ელემენტარული ეტიკეტით რა მოეთხოვება: შეუძლია მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მილოცვა;
- სიტუაციის შესაბამისად იყენებს მიმართვის თავაზიან და შინაურულ ფორმებს.

შედეგი 2. ბავშვს შეუძლია ტექსტების ზეპირად კითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- წარმოთქვამს ენის გასატეხებს, ანდაზებს, გამოცანებს;
- ზეპირად კითხულობს ლექსებს, სათვლულებს, ასრულებს სიმღერებს;
- ზეპირად გაითამაშებს მარტივ დიალოგებსა და სცენებს;
- ტექსტებს გარკვევით წარმოთქვამს, იცავს შესაბამის ინტონაციებს, რიტმებს.

შედეგი 3. ბავშვს შეუძლია გაიგოს და გადმოსცეს ისეთი ამბები, მოვლენები, ფაქტები, რომლებიც წარსულს ან მომავალს ეკუთვნის და არ არის მისი თვალთახედვის არეში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ისხენებს და გასაგებად გადმოსცემს ამბავს/მოვლენას, რომლის მონაწილეც იყო მისი კლასი (მაგ., სასკოლო ღონისძიება, გასვლითი აქტივობა, რაიმე ინციდენტი);
- ამოიცნობს მისი ასაკის შესაფერისი ზღაპრის/ლეგენდის/მოთხრობის პერსონაჟებს, აღწერს მათ გარეგნობას, ახასიათებს მათ ქცევის მიხედვით (მაგ., ლამაზი, უშნო, ღონიერი, კეთილი, მოხერხებული, ჭკვიანი, ძუნწი, ბოროტი) და ხატავს მათ;

- შეძლებს განსაზღვროს, თუ რომელი პერსონაჟია ზღაპრის მთავარი გმირი;
- სვამს/პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
- ამოიცნობს გადმოცემულ ამბავთა თანმიმდევრობას, ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანმიმდევრობის მიხედვით;
- ამოიცნობს მოვლენებს, მოქმედებებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- აკავშირებს ტექსტში მომხდარ ამბავს საკუთარ გამოცდილებასთან;
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს მთავარ სიუჟეტურ ხაზს;
- ხატავს მისთვის ყველაზე საინტერესო ეპიზოდს;
- ამხანაგებთან ერთად გაითამაშებს ერთ-ერთ ეპიზოდს;
- თავისი სიტყვებით გადმოსცემს მასწავლებლის მიერ ნაკითხულ ეპიზოდს;
- ყვება ნაცნობ ამბავს ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ზეპირად ამბობს ლექსებს, სათვლულებს;
- იგებს საგნის, ადამიანის გარეგნობის, მოვლენის აღწერილობას;
- სხვადასხვა ზღაპარში ამოიცნობს მსგავს და განსხვავებულ ელემენტებს (*მაგ., კეთილი პერსონაჟი - ბოროტი პერსონაჟი და მათი ვარიანტები*);
- აღწერს საგანს, მოქმედებას, პერსონაჟს, ადამიანს, რომელიც არ არის მისი მხედველობის არეში;
- აღწერს წარსულ მოვლენას;
- აღადგენს ორ-სამ ეპიზოდიან ნაცნობ ამბავს;
- ყვება ახლად გაგონილ ამბავს;
- ყვება დიდი ხნის წინათ მოსმენილ ამბავს;
- იმახსოვრებს და ზეპირად ამბობს ლექსებს, სათვლულებს;
- მოსმენილი ტექსტის საფუძველზე გამოაქვს დასკვნები და აყალიბებს მათ (*მაგ., ეს პერსონაჟი კეთილი ყოფილა იმიტომ, რომ...*);
- აყალიბებს მოსალოდნელ შედეგს პრობლემატურ სიტუაციაში (*მაგ., უჯრა მაგრად რომ გამოვექაჩო, ყვავილის ქოთანი გადმოვარდება და გატყდება*);
- აყალიბებს შესასრულებელ მოქმედებებს პრობლემატური სიტუაციის მოსაგვარებლად (*მაგ., ყვავილის ქოთანი სხვაგან უნდა გადავდოთ*);
- იგონებს/თხზავს პატარა ამბავს, ან ცვლის კონკრეტული ამბის დასაწყისს ან დასასრულს.

შედეგი 4. ბავშვს გამოუმუშავებული აქვს ზეპირი და წერილი მეტყველებისთვის საჭირო ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- შეძლებს მოსმენისას სამეტყველო ნაკადში წინასწარ მითითებული სიტყვის, მარცვლის, ასოს გამორჩევას (*მაგ., შემოჰკურას ტაში, როდესაც გაიგონებს სიტყვას — „სკამი“*);
- არჩევს ერთმანეთისგან მსგავს სიტყვებს ლექსში, წინადადებაში (*მაგ., ბარი/დარი*);
- ამოიცნობს გრძელ/მოკლე სიტყვებს;
- ამოიცნობს დომინანტურ (ყველაზე ხშირად გაჟღერებულ) ბგერას სიტყვათა ჩამონათვალში;
- სიტყვას ყოფს მარცვლებად, მარცვლებს აერთიანებს სიტყვებად;
- ამოიცნობს და ტაშის დაკვრით ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას;
- რიტმული დამარცვლით ამბობს ტექსტს/ლექსს, სათვლულს;
- რიტმული სიმღერების მოსმენისას გამოარჩევს სიტყვებს, რომელიც ერთმანეთს ერთმეზა;
- ეძებს და პოულობს სიტყვებს, რომელიც მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვას ერთმეზა;
- ასახელებს სიტყვებს, რომელიც იწყება მასწავლებლის მიერ მითითებული ბგერით;
- აჯგუფებს სიტყვებს, რომელიც იწყება/მთავრდება მასწავლებლის მიერ მითითებული ბგერით;
- აღმზრდელის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში, ან სურათებზე ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომელიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს;
- ამოიცნობს მითითებულ ბგერას ლექსში, წინადადებაში;
- მარცვლების რაოდენობას წარმოადგენს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოთი (*მაგ., ერთმარცვლიან სიტყვას ერთი რკალით C, ორმარცვლიანს - ორი რკალით CC და ა.შ.*);

- აჯგუფებს სიტყვებს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით (*მაგ., ერთმარცვლიანი სიტყვის სურათებს დებს ცალკე ყუთში, ორმარცვლიანს – სხვა ყუთში*);
- ამოიცნობს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლურად გამოსახავს მას (*მაგ., სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს*);
- მოსმენილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს და სიმბოლური ნიშნით აღნიშნავს მათ რაოდენობას (*მაგ., წითელქუდა ბებიასთან წავიდა – სამი ხაზი: _____*);
- სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად;
- ზეპირ მარცვალში ამოიცნობს კონკრეტული ბგერის ადგილმდებარეობას (პირველი, შუა, ბოლო).

შედეგი 5. ბავშვს გამომუშავებული აქვს ზეპირი მეტყველებისთვის საჭირო ლექსიკური უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იგებს დროითი მიმართებების გამომხატველ სიტყვებსა და მაკავშირებლებს (*მაგ., გუშინ, დღეს, ხვალ, როცა, მაშინ*);
- იგებს სივრცითი მიმართებების გამომხატველ სიტყვებსა და მაკავშირებლებს (*მაგ., აქ, იქ, ამის მაღლა/ დაბლა და სხვ.*);
- იგებს მიზეზ-შედეგობრიობის გამომხატველ სიტყვებს (*მაგ. იმიტომ, რომ*);
- იცის, რომ არსებობს პოლისემიური სიტყვები, სინონიმები, ანტონიმები, ასახელებს კონკრეტული სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობას, სინონიმს, ანტონიმს; იგებს ყოველდღიურ, სასკოლო და სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ლექსიკას (*მაგ., საგნების, ქმედებების, თვისებების, მახასიათებლების, გრძნობების გამომხატველი ლექსიკა*);
- ასახელებს ყოველდღიურ აქტივობასთან დაკავშირებულ საგნებსა და ქმედებებს;
- ასახელებს თვისებებს, რომელიც უკავშირდება საგნებს, ადამიანებს, მოვლენებს;
- ასახელებს გრძნობებს;
- ასახელებს წელიწადის დროებსა და კვირის დღეებს;
- ამჟღავნებს სიტყვის მნიშვნელობის ცოდნას განსხვავებულ კონტექსტში მისი გამოყენებით;
- განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას სინონიმის/ანტონიმის გამოყენებით.

შედეგი 6. ბავშვს გამომუშავებული აქვს ზეპირი მეტყველებისთვის აუცილებელი მორფო-სინტაქსური უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იგებს მასწავლებლის მიერ წაკითხული წერილობითი ტექსტებისთვის დამახასიათებელ რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს (პირობითი, დროის, გარემოებითი, მიზეზის და სხვ.);
- ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს;
- იგებს დროისა და სივრცის გამომხატველ ორიენტირებს (*მაგ., ზმნისწინი, ზმნიზედა, ბრუნვის ფორმები, თანდებულებიანი ფორმები*); იგებს ანაფორულ სიტყვებს;
- იყენებს რთულ წინადადებებს, ხმარობს მაქვემდებარებელ კავშირებს: რომ, თუ, რომელიც, იმიტომ რომ, როცა, იმისთვის რომ;
- ცვლის ზმნის ფორმას წარსული, ახლანდელი და მომავალი დროის გამოსახატავად;
- იყენებს დროის გამომხატველ ზმნიზედებსა და ზმნისწინებს;
- არსებით სახელებს ანაცვლებს პირის ნაცვალსახელებით;
- გამოხატავს დროით მიმართებებს თანადროულ, თანმიმდევრულ, განმეორებად მოვლენებს შორის (*მაგ., სანამ ... , ყოველ დღიას ...*);
- ამოიცნობს შესასრულებელი მოქმედების მოდალობას (*მაგ., სურვილი, ბრძანება, აკრძალვა*).

მიმართულება: წერიტი მეტყველება (კითხვა და წერა)**შედეგი 7. ბავშვს შეუძლია გაიგოს დანიშნულება ისეთი მედიასაშუალებებისა, როგორცაა აფიშა, წიგნი, აბრა, ჟურნალი, რვეული, კომპიუტერის ეკრანი და სხვ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აკვირდება სხვადასხვა სახის მედიასაშუალებებს, უფროსის დახმარებით, არასიტყვიერ ელემენტებზე დაყრდნობით, გამოთქვამს ვარაუდს მისი შინაარსისა და დანიშნულების შესახებ;
- ერთმანეთისგან არჩევს სხვადასხვა სახის მედიასაშუალებას/ფორმას და ასახელებს მათ;
- ამოიცნობს მათ განსხვავებულ მახასიათებლებს;
- ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურ გარემოში არსებულ სხვადასხვა საგანს, რომელზედაც წერილობითი ტექსტია გამოსახული (*მაგ., დაფა, რვეული, კლასის კედელზე გაკრული განცხადება, ტელეპროგრამა, წიგნი, სხვადასხვა ტიპის აბრა, სათამაშის ყუთი, მისალოცი ბარათი, ალბომი, მობილური და სხვ.*), ამოიცნობს ადგილებს, სადაც გვხვდება დასახელებული საგნები;
- ამოიცნობს სიტუაციებს, რომლებშიც ეს მედიატექსტები გამოიყენება;
- შეარჩევს მედიატექსტის იმ სახეს, რომელიც კონკრეტულ კითხვას გასცემს პასუხს (*მაგ., რა ფილმი გადის საღამოს ტელევიზიით? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ ტელეპროგრამაში.*)

შედეგი 8. ბავშვს გამომუშავებული აქვს წიგნთან მუშაობის სანყისი უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ახარისხებს სააღმზრდელო დაწესებულების ბიბლიოთეკის თაროებზე განთავსებულ წიგნებს გარკვეული პარამეტრის მიხედვით (*მაგ., სქელედანი, დიდტანიანი, პატარა ფორმატის, საერთო თემატიკა ამოცნობილი ყდის ილუსტრაციის მიხედვით*);
- ფორმალური ნიშნების მიხედვით (*მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა. შ. მეშვეობით*) ამოიცნობს საბავშვო წიგნს, ჟურნალს;
- ტექსტში გამოყოფს აბზაცის, სტროფის დასაწყისსა და დასასრულს;
- სტრიქონში გამოყოფს სიტყვას;
- ითვლის ტექსტში აბზაცების რაოდენობას, აბზაცში – სტრიქონებისას, სტრიქონში – სიტყვებისას;
- ნაბეჭდ ფურცელზე ერთმანეთისგან არჩევს ტექსტს, ცარიელ სივრცეს, სათაურს, ილუსტრაციას, აბზაცს, პოულობს გვერდის ნომერს;
- ადარებს ერთმანეთს ერთი საბავშვო წიგნის კომპოზიციურად განსხვავებულ გვერდებს (*მაგ., ამ გვერდზე ორი ილუსტრაციაა, იმაზე – ერთი; აქ ილუსტრაცია სათაურის გვერდითაა, იქ – ტექსტის ბოლოს; აქ ორი სათაურია და ორი აბზაცი, იქ – ერთი სათაური და სამი აბზაცი*);
- კომპოზიციურ მახასიათებლებზე დაყრდნობით არჩევს ერთმანეთისგან ტექსტის სახეებს (ლექსი, ზღაპარი, კულინარული რეცეპტი და სხვ.);
- ფურცლავს წიგნის გვერდებს სწორი მიმართულებით, თანმიმდევრულად (თითო-თითოს);
- ათვალთვრებს წიგნის ილუსტრაციებს, მათზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნები წიგნის შინაარსის შესახებ;
- წიგნის გარეკანზე ერთმანეთისგან არჩევს სათაურს, ავტორის გვარს და ილუსტრატორის გვარს;
- წიგნში პოულობს სარჩევს;
- იგებს გვერდების ნომრების ფუნქციას;
- იგებს სარჩევის ფუნქციას;
- ასახელებს შესწავლილი ტექსტის სახეებს;
- ამოიცნობს პუნქტუაციის მარტივ ელემენტებს (კითხვის ნიშანი, წერტილი, ბრჭყალი);
- იყენებს წერილობითი ტექსტის/ენის ერთეულების აღმნიშვნელ ლექსიკას: სათაური, ტექსტი, სიტყვა, ასო.

შედეგი 9. ბავშვი ცნობს კლასში მუდმივად გამოკრული სიტყვების ორთოგრაფიულ ხატს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- გამოარჩევს თავის სახელს თანატოლების სახელებს შორის;
- ასახელებს მინიშნებებს, რითაც გამოარჩევს საკუთარ სახელს (*მაგ., პირველი და ბოლო ასო; განსაკუთრებული ასო, ვთქვათ, სამრკალიანი*);
- პოულობს ანალოგიას ზოგიერთი თანატოლის სახელში;
- ერთმანეთს ადარებს სახელებს, პოულობს მსგავსებებს და აღწერს მათ (*მაგ., აქაც ორი რგოლია და იქაც*);
- ამოიცნობს საკუთარ სახელს, როგორც ნაბეჭდი, ისე ნაწერი სახით; ცნობს მცირე ზომის ხშირად გამოყენებულ სიტყვებს, ასახელებს ან უსადაგებს შესაბამის ილუსტრაციას;
- ასახელებს მინიშნებებს, რითაც გამოარჩევს კონკრეტულ სიტყვას;
- პოულობს ანალოგიებს დამახსოვრებულ სიტყვებს შორის.

შედეგი 10. ბავშვს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- დანერილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს;
- წინადადებაში ამოიცნობს ნაცნობ სიტყვას;
- ნაცნობ სიტყვებში გამოარჩევს ასოს და აკავშირებს მას შესაბამის ბგერასთან ანუ ახმოვანებს მას;
- აკავშირებს ასოს, მარცვლის გრაფიკულ ხატს მის აკუსტიკურ/ხმოვან ხატთან;
- ასახელებს ანბანის ასოთა სახელებს;
- ამოიცნობს ყველაზე ხშირად ხმარებულ მარცვალს სიტყვათა ზეპირ ჩამონათვალში, ამოიცნობს იმავე მარცვალს წერილობით ჩამონათვალში;
- ამოიცნობს მარცვლის მდებარეობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) სიტყვის როგორც აკუსტიკურ, ისე გრაფიკულ ხატში;
- ამოიცნობს ყველაზე გრძელ და მოკლე სიტყვებს, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ჩამონათვალში;
- ამოიცნობს სიტყვაში ასოთა რაოდენობას;
- განასხვავებს გვერდიგვერდ მოქცეულ ასოებს ზომის მიხედვით (*მაგ. ა და ჭ*);
- განასხვავებს საპირისპირო ორიენტაციას ორ მეზობელ ასოს შორის (*მაგ. შ და ნ*);
- განასხვავებს მეზობელ ასოებს პოზიციის მიხედვით (*მაგ. დ და ზ*);
- აჯგუფებს სიტყვებს პირველი ასოს მიხედვით.

შედეგი 11. ბავშვი ავლენს ინტერესს წერითი მეტყველების მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ინდივიდუალურად კარნახობს უფროსს ტექსტს;
- უფროსის მითითებით ასწორებს გაუმართავ წინადადებას ან წერითი ტექსტისთვის შეუფერებელ ენობრივ ფორმას/კონსტრუქციას;
- ამჩნევს განსხვავებას ზეპირ და წერით ენას შორის;
- წარმოიდგენს, ვინ იქნება მისი მკითხველი;
- იგებს ინფორმაციის წერილობით გადაცემის საჭიროებას;
- იგებს საკუთარი ფიქრების, განცდილის, მოგონების წერილობით შენახვის საჭიროებას.

შედეგი 12. ბავშვს გამოუმუშავებული აქვს წერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ხმარობს და იცის, როგორ დაიჭიროს ესა თუ ის საწერი საშუალება (კალმისტარი, ცარცი, ფანქარი, ფლომასტერი);
- წერისას იღებს მისთვის მოხერხებულ, კომფორტულ პოზას;
- წერტილების შეერთებით აკეთებს ტეხილებს, კლაკნილებს და სხვა ფორმებს;
- გამოსახავს ორნამენტების ასლებს;
- ასაწყობი ანბანით, მაგნიტური ასოებით აწყობს საკუთარ სახელს, დამახსოვრებულ სიტყვებს;
- ასაწყობი ანბანით, მოდელის მიხედვით, აწყობს სიტყვებს, მცირე ზომის წინადადებებს; გადმოიწერს საკუთარ სახელს, ნაცნობ სიტყვებს;
- მასწავლებლის დახმარებით ასათაურებს ნახატს;
- წარწერას უკეთებს დღესასწაულისთვის მომზადებულ მისალოც ბარათს.

მიმართულება: კულტურათა დიალოგი**შედეგი 13. ბავშვი აცნობიერებს სამყაროს ენობრივ-კულტურულ მრავალფეროვნებას და ავლენს ინტერესს მის მიმართ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ოჯახში არკვევს, ვინ რა ენა იცის და მიღებულ ინფორმაციას აწვდის მასწავლებელს და თანატოლებს;
- ასახელებს იმ თანატოლებს, რომლებმაც ქართულის გარდა სხვა ენაც იციან;
- სვამს კითხვებს და არკვევს, საიდან იციან თანატოლებმა სხვა ენა/ენები;
- ისმენს არაქართულენოვან თანატოლთა მიერ შესრულებულ სიმღერებს, ლექსებს, ამოიცნობს განსხვავებულ ბგერებს;
- პასუხობს კითხვებს დღესასწაულებთან დაკავშირებული ოჯახური ადათ-წესების შესახებ;
- აღმზრდელის დახმარებით აღმოაჩენს მსგავსებებს და განსხვავებებს თანატოლთა ოჯახებში დამკვიდრებულ ადათ-წესებს შორის.

II. 2.2. სწავრო - მოსწავლედ ჩამოყალიბება**მიმართულება: ერთად ცხოვრება****შედეგი 1. ბავშვს შეუძლია განახორციელოს ერთად ცხოვრების ზოგიერთი პრინციპი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- უფრთხილდება ნივთებს, წიგნებს, სასწავლო მასალას;
- თავის ადგილზე ინახავს საგნებს;
- ზრდილობიანად ექცევა თანატოლებს, უფროსებს;
- ეხმარება მასწავლებელს, თანატოლს;
- ითვალისწინებს აკრძალვებს;
- იმშვიდებს თავს და აკონტროლებს გრძნობების გამოხატვას უფროსის დახმარებით *(მაგ., გამოხატავს ბრაზს ან წყენას ჩხუბის გარეშე)*;
- მიიღტვის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ;
- უნებართვოდ არ იღებს სხვის ნივთებს.

შედეგი 2. ბავშვი იცის, სკოლაში მომუშავე უფროსებიდან, ვინ რა ფუნქციას ასრულებს და, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეუძლია მათთან ურთიერთობის დამყარება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- გამოხატავს, რომ იცნობს, ენდობა და კეთილგანწყობილია უფროსების მიმართ;
- უზიარებს თავის გულისტკივილს უფროსს;
- პატივისცემით ეპყრობა მათ (არ აწყვეტინებს საუბარს);
- სხვა ბავშვთან კონფლიქტის შემთხვევაში მიმართავს უფროსს;
- იცის და იყენებს სკოლაში მომუშავე უფროსების სახელებს;
- ცნობს და აღიარებს უფროსის გამოცდილების მნიშვნელობას;
- ესმის, როდის უნდა მიმართოს უფროსს რჩევისთვის;
- ითვალისწინებს უფროსის გადანყვეტილებასა და რჩევას.

შედეგი 3. ბავშვი ავლენს მოლაპარაკების გზით კონფლიქტის მოგვარების სანყის უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- კონფლიქტის მოსაგვარებლად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას, ცდის სხვადასხვა გზას და საშუალებას (*მაგ., პრობლემის გადაჭრას თვითონ ცდილობს, შემდეგ ითხოვს უფროსის დახმარებას*);
- მოლაპარაკების დროს ცდილობს, სხვა ბავშვებთან ერთად, დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემა, უფროსებს კი დახმარებისთვის მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს;
- მოლაპარაკების დროს მსჯელობს სხვა ბავშვთან წესების შესახებ, რათა უკეთესად იყოს გათვალისწინებული ორივე მხარის ინტერესები (*მაგ., ჯერ მე გამოვიყენებ ამ ფანქარს და მერე შენ მოგცემ*);
- შეუძლია დათმობაც და სხვისი კომპრომისის დანახვაც, ანუ ხვდება, რომ სხვაც უთმობს.

შედეგი 4. ბავშვს შეუძლია კონკრეტული ქცევისა და მისი შედეგის გააზრება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- შეძლებს საქციელის შეფასებას: რა არის სწორი და რა — არასწორი. (*მაგ.: ვინმეს ცემა არასწორია! ჯერ უნდა დარწმუნდე, რომ ყველას ერგო ნამცხვარი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მეორე ნაჭერი ნამცხვრის აღება!*);
- შეძლებს ახსნას სხვისი ქცევა (*მაგ., ანა ტირის იმიტომ, რომ დათომ სათამაშო არ ათხოვა*);
- განმარტავს თავის რეაქციას სხვის საქციელზე (*მაგ., „ანა ცუდად მოიქცა, იმიტომ ნავართვი ფანქარი“*);
- ხვდება, რა საპასუხო რეაქციას გამოიწვევს მისი ან სხვისი ქცევა.

მიმართულება: თანამშრომლობა

შედეგი 5. ბავშვს შეუძლია თანატოლებთან კონსტრუქციული და თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იჩენს ინიციატივას, რომ დაეხმაროს და დაამშვიდოს თანატოლი სიტყვიერად და მოქმედებით;
- ამულავნებს სოციალურ მხარდაჭერას სხვების მიმართ;
- იჩენს მიმტვევებლობას მეგობრების მიმართ;

- ითვალისწინებს თანატოლის სურვილს თამაშის დროს;
- უნაწილებს სათამაშოებს და სხვა მასალებს ბავშვებს და მათთან ერთად საერთო საქმიანობაში ჩაბმული;
- ახორციელებს ჩანაფიქრს/დავალებას სხვა ბავშვებთან ერთად;
- ლიდერობს, ანუ თავის თავზე იღებს საორგანიზაციო საკითხებს და წარმართავს პროცესს. შეიძლება ეს იყოს თამაში, თეატრალიზებული წარმოდგენა, ვარჯიში ან სხვა რამ;
- ადვილად უერთდება უკვე მიმდინარე ჯგუფურ აქტივობას;
- იგონებს და ახორციელებს აქტივობებს, რომელშიც ერთზე მეტი ბავშვი მონაწილეობს;
- აცდის სხვას საუბარს, ელოდება თავის ჯერს;
- ადეკვატურად გამოხატავს სათქმელს, როდესაც თავად ექცევა ყურადღების ცენტრში;
- სიახლის მიმართ გამოხატავს ინტერესს, სვამს კითხვებს, ცდილობს მოსინჯოს და შეასრულოს ახალი მოქმედება;
- ჯგუფური აქტივობის დროს ყურადღებას ამახვილებს იმ ობიექტზე ან ადამიანზე, რომელიც იმ მომენტში მთელი ჯგუფის ყურადღების ცენტრშია;
- შეძლებს თამაშის შემოთავაზებასა და ორგანიზებას *(მაგ., ორგანიზებას უნევს დაჭერობანას თამაშს)*.

მიმართულება: დამოუკიდებლობა

შედეგი 6. ბავშვი ავლენს დამოუკიდებლად მოქმედების უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მიცემული ინსტრუქციის მიხედვით დამოუკიდებლად ასრულებს დავალებას;
- დამოუკიდებლად ირჩევს საქმიანობას *(მაგ., ისეთ თამაშს, რომელიც უკავშირდება მისი ინტერესების სფეროს)*;
- არჩეულ საქმიანობას დამოუკიდებლად ართმევს თავს;
- გეგმავს მარტივ საქმიანობას და ასრულებს გეგმას უფროსის მცირე დახმარებით;
- იღებს პასუხისმგებლობას და ბოლომდე ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას *(მაგ., მე ჩავანყო სათამაშოებს ყუთებში)*;
- გეგმავს ღონისძიებებს და მიზნის დასახვისას ითვალისწინებს გამოცდილებას;
- ამჟღავნებს ინიციატივას სხვადასხვა საქმიანობის დროს;
- დამოუკიდებლად იკრავს თასმებს.

შედეგი 7. ბავშვს შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე მაშინაც, როცა აწყდება პრობლემას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ინარჩუნებს ინტერესს ჩანაფიქრის ან საქმიანობის მიმართ, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს საქმეს, მიუხედავად ხელისშემშლელი ფაქტორებისა;
- ისახავს მიზანს და დამოუკიდებლად ცდილობს მის განხორციელებას წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით;
- გაგებით ეკიდება წინააღმდეგობებს და აგრძელებს მუშაობას იმედგაცრუების გარეშე *(მაგ., როცა ეღვრება წყალი, გადანმენდს დაღვრილს და ხელახლა დაისხამს)*.

II. 2.3. სწავრო - ფიზიკური განვითარება

მიმართულება: მოძრაობა-გადაადგილება

შედეგი 1. ბავშვს შეუძლია მიზანმიმართული, კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- რეაგირებს ხმოვან სიგნალზე და მითითებისამებრ მირბის ერთი პუნქტიდან მეორემდე;
- ტყორცნის სხვადასხვა საგანს კონკრეტული ნიშნულის მიმართულებით;
- იჭერს დიდი ზომის ბურთს/საგანს, რომელიც ესროლეს ახლოდან (3 მეტრიდან);
- ხტება რაც შეიძლება მაღლა და შორს, გაქანებით ან გაქანების გარეშე;
- დადის ოთხი “ფეხით” (ფეხებით და ხელებით);
- კოტრიალობს;
- დადის ხელებით, როცა ვინმე ფეხებით იჭერს;
- მოძრაობს სწორ ხაზზე და ინარჩუნებს წონასწორობას.
- მოძრაობს სწორ ხაზზე უკუსვლით და ინარჩუნებს წონასწორობას;
- ატარებს სამთვლიან, ორთვლიან ველოსიპედს, თვითმგორავს;
- ინარჩუნებს წონასწორობას ბრუნვის, ტრიალის დროს;
- შეუძლია ცალ ფეხზე დგომა 30 წამის განმავლობაში და მეტხანს;
- ხტება დაბალი სიმაღლიდან;
- კიბეზე ასვლა-ჩასვლისას ერთ ან ორივე ხელში უჭირავს საგანი;
- გადაადგილდება ფეხების გასრიალებით;

შედეგი 2. ბავშვს შეუძლია ინდივიდუალურ და გუნდურ თამაშებში მონაწილეობა და მეტოქეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ჭიდილისას იყენებს შეტევით ან თავდაცვით ელემენტებს (გამოქაჩვა, მინოლა, შეჩერება, გადაადგილება და სხვა);
- იგებს და იცავს თამაშის წესებს;
- გუნდური თამაშისას იაზრებს და ადეკვატურად ასრულებს თავის ფუნქციას (*მაგ., გადატანა, სროლა, გაქცევა.*);
- გადააბამს ორ ქმედებას (*მაგ., გაქცევა და დაჭერა*);
- მიზანმიმართულად გადაადგილდება;
- გუნდს ხელს უწყობს მოგებაში;
- თამაშისას სიფრთხილით ეპყრობა თანატოლებს.

მიმართულება: გამომხატველობითი და რიტმული მოძრაობები

შედეგი 3. ბავშვს შეუძლია რიტმული მოძრაობების შესრულება და მართვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- თამაშის დროს მუსიკალურ და ხმოვან ნიშნებზე შესაბამისად რეაგირებს — ჩერდება ან აგრძელებს მოძრაობას;

- მუსიკალურ ან ხმოვან ნიშანზე ცვლის მოძრაობის ტემპს (*მაგ., ანელებს, აჩქარებს სიარულს*);
- მუსიკის თანხლებით დარბის სკამების გარშემო, მუსიკის შეჩერებისას კი ცდილობს ადგილის დაკავებას და სხვა;
- მუსიკის თანხლებით ასრულებს რიტმულ და ცეკვით მოძრაობებს;
- მუსიკის ტემპის შეცვლის კვალდაკვალ ცვლის მოძრაობის რიტმს;
- იმახსოვრებს და იმეორებს მოძრაობათა თანმიმდევრობას;
- მითითების მიხედვით ასრულებს მოძრაობებს (ხტომა, სიარული, სრიალი) სხვადასხვა მიმართულებით;
- ასრულებს რიტმულ და ცეკვით მოძრაობებს მუსიკის გარეშე.

შედეგი 4. ბავშვს შეუძლია სხეულით ექსპრესიული მოძრაობების განხორციელება და შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- სხეულით გამოხატავს სხვადასხვა განწყობას, გრძნობას;
- ბაძავს ცხოველებს;
- განასახიერებს პერსონაჟებს, საგნებს;
- განასახიერებს ქმედებებს;
- აკვირდება თანატოლის ექსპრესიულ მოძრაობებს, აძლევს რჩევებს;
- იღებს რჩევას თანატოლისგან.

II. 2.4. სწავრო - სამყაროს აღმოჩენა

მიმართულება: ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა

შედეგი 1. ადვილად დაკვირვებადი ნიშნების/მახასიათებლების მიხედვით ბავშვი შეისწავლის მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანებს მათსავე საარსებო გარემოში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აყალიბებს კითხვებს ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ (*მაგ.: ყველა ცხოველს აქვს ოთხი ფეხი? სუნთქავენ თუ არა თევზები?*);
- უფროსების დახმარებით, აღრიცხავს ლოკალურ გარემოში არსებული მცენარეების, ცხოველების და ადამიანების ადვილად დაკვირვებადი ნიშნებს (*მაგ.: ფერი, ფაქტურა, სუნი, კბილების, ლაყურების რაოდენობა, ფოთლების რაოდენობა, ფოთლების ფერი, ფოთლების ფორმა, თვალის ფერი, სიმაღლე*). აღწერისას იყენებს ტერმინოლოგიას და ენას, რომელიც გასაგებია სხვებისთვის;
- აგროვებს ინფორმაციას მცენარეების, ცხოველების და ადამიანების თვალნათელი მახასიათებლების შესახებ, სხვა ადამიანების (*მაგ.: ოჯახის წევრები, მეგობრები, უფროსები*) გამოკითხვის გზით;
- შეარჩევს და სწორად იყენებს მარტივ გამაძიებელ ხელსაწყოებს (*მაგ., ლუპა*) ლოკალურ გარემოში მცენარეებსა და ცხოველებზე დასაკვირვებლად;
- აკვირდება და აღწერს ცოცხალი ორგანიზმების ზრდა-განვითარების პროცესებს (*მაგ., თესლიდან მცენარის აღმოცენება, კვირტიდან ფოთლის ან ყვავილის გამოსვლა და სხვა*);
- ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობა ცოცხალ ორგანიზმებს დაკვირვების დროს (*მაგ.: ზრუნავს საკლასო ოთახში არსებულ ცოცხალ ორგანიზმებზე, მონდომებით გამოთქვამს ბუნებრივი გარემოს დაცვის სურვილს*);
- იკვლევს მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებიან ილუსტრაციებს;
- ყვება და უზიარებს თანატოლებს მცენარეებზე, ცხოველებსა და ადამიანებზე ლოკალურ გარემოში

- უშუალო დაკვირვების შთაბეჭდილებებს (მაგ.: როგორ ცურავენ თევზები, როგორ იზრდება ლეკვი);
- აყალიბებს შესწავლილი ობიექტების (მცენარეები, ცხოველები და ადამიანები) ადვილად დაკვირვებადი ნიშან-თვისებების მსგავსებებსა და განსხვავებებს (მაგ., ბელურას ხვლიკისგან განსხვავებული საფარველი აქვს);
- ახარისხებს და აჯგუფებს მცენარეების, ცხოველების და ადამიანების გამოსახულებიან ბარათებს მოცემული კრიტერიუმის, ან მის მიერვე შერჩეული კრიტერიუმის მიხედვით;
- უფროსის დახმარებით აღწერს ცხოველების, მცენარეების, ადამიანებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას;
- იყენებს ვიზუალურ და/ან მულტიმედიაურ საშუალებებს მის მიერ შერჩეული მცენარის ან ცხოველის თვისებების თანატოლებისთვის გაცნობის მიზნით;
- პრაქტიკული სამუშაოების შემდეგ აწესრიგებს სამუშაო სივრცეს;
- დაკვირვების ჩატარების დროს მუშაობს მარტო ან თანატოლებთან ერთად.

მიმართულება: სხეულები და მოვლენები

შედეგი 2. ბავშვი შეისწავლის ფიზიკური ძალების, მაგნიტური ძალების, სინათლის ენერჯის, ბგერის ენერჯის და სითბოს ენერჯის ზეგავლენას ლოკალური გარემოს ობიექტებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- იკვლევს, თუ როგორ ამოძრავებს, აჩერებს ან უცვლის მოძრაობის მიმართულებას განსხვავებული ინტენსივობის მექანიკური (მაგ., ხახუნი) ან მაგნიტური ძალები სხვადასხვა სხეულს (სათამაშო მანქანები, კუბურები, ბურთები);
- გამოთქვამს ვარაუდს და პრაქტიკულად ამოწმებს ხახუნის ძალის მოქმედების ზეგავლენას სხეულის მოძრაობაზე (მაგ., ასრიალებს კუბურას ხაოიან და გაპრიალებულ ზედაპირზე; ასრიალებს კუბურას მშრალ და სველ ზედაპირზე);
- იყენებს სხვებისთვის გასაგებ ტერმინოლოგიას ძალების მოქმედების აღსაწერად (მაგ., „გაჩერდა“, „უცებ ჩაგორდა“, „ძნელად სრიალებს“, „ადვილად სრიალებს“);
- აკვირდება მაგნიტის მოქმედებას სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ სხეულებზე (მაგ.: ლურსმნები, ჭიკარტები, ქაღალდის ნაჭერი, ტანსაცმელი, მინის ჭიქა). ახარისხებს სხეულებს მაგნიტთან მოქმედების მიხედვით (მიიზიდა / არ მიიზიდა);
- ამოიცნობს ბუნებრივი და ხელოვნური სინათლის, სითბოს და ბგერის წყაროებს (მაგ.: მზე და ნათურა; ქარი და რადიო);
- ატარებს მარტივ ცდებს (ინსტრუქციის მიხედვით და/ან საკუთარი ფანტაზიით) სხეულებზე სინათლისა და სითბოს წყაროების ზემოქმედების შედეგების დასაკვირვებლად (მაგ., სითბოს ზემოქმედება სანთელზე);
- ატარებს მარტივ ცდებს ბგერის წყაროს ჟღერადობის ცვლილების მიზეზებზე დასაკვირვებლად (მაგ., ბრინჯის მარცვლების დაყრის ზეგავლენა დოლის ჟღერადობაზე);
- აღწერს (მაგ., „გავიგონე“, „დავინახე“, „ვიგრძენი“) სინათლის, სითბოსა და ბგერის ზემოქმედებაზე დაკვირვებისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. ეყრდნობა სხვადასხვა შეგრძნების (სმენა, მხედველობა, გემო, სუნის, შეხება) საშუალებით მიღებულ ინფორმაციას;
- იცავს უსაფრთხოების ზომებს სითბოს, სინათლის და ბგერის წყაროებთან ურთიერთობისას (მაგ.: ძალიან ხმაშლილი არ უნევს მაგნიტოფონს, სინათლის წყაროს პირდაპირ ხანგრძლივად არ უმზერს და არც თანატოლებს ანათებს თვალებში);
- პრაქტიკული აქტივობების შემდეგ აწესრიგებს სამუშაო სივრცეს (მაგ.: აწყობს კუბურებს ყუთში, ამშრალებს მაგიდას);
- დაკვირვებების ჩატარების დროს მუშაობს მარტო და თანატოლებთან ერთად.

შედეგი 3. ბავშვი შეისწავლის მის უშუალო გარემოში არსებულ სხეულებს/საგნებს, მასალებს და ნივთიერებებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აყალიბებს კითხვებს მის გარშემო არსებული საგნების, მასალების და ნივთიერებების გამოსაკვლევად (მაგ., „პლასტილინის კუბურა ისეთივე მაგარია, როგორც ხის კუბურა?“ „პლასტმასის კოვზი ჩაიძირება თუ არა წყალში?“ „რისგან მზადდება ესა თუ ის კერძი?“);
- მის უშუალო გარემოში (საკლასო ოთახი, ეზო, ბინა) პოულობს მსგავსი მასალისგან დამზადებულ საგნებს (მაგ., ხის კუბურები, ხის სკამი, ხის კოვზი, ხის საკიდი);
- მის უშუალო გარემოში პოულობს სხვადასხვა მასალისგან/ნივთიერებისგან დამზადებულ მსგავსი დანიშნულების საგნებს (მაგ., პლასტმასის კოვზი, ლითონის კოვზი, ხის კოვზი);
- განარჩევს მასალების თვისებებს — ფერი, ტექსტურა, სუნი;
- განარჩევს სხეულების/საგნების თვისებებს — ფორმა, ზომა, წონა;
- ალაგებს ლოგიკური თანამიმდევრობით (ზრდადობა ან კლებადობა) ან აჯგუფებს საგნებს ერთი, მის მიერ შერჩეული კრიტერიუმის მიხედვით (მაგ. კუბურების სიმრავლიდან შეარჩევს მხოლოდ ხის კუბურებს; სიმრავლეში შემავალ კუბურებს განალაგებს დიდიდან მცირესკენ);
- უშუალო დაკვირვების საფუძველზე სწავლობს, თუ რა ხდება დაჭრის, გახეხვის, შეწების, გაცხელების, გაციების, მოღუნვის, დაგრეხვის, სითხის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმის შედეგად; მზარეულობის დროს წონის (უფროსების დახმარებით) სხვადასხვა ინგრედიენტს; ხეხავს მყარ, ყრის ფხვიერ, ასხამს თხევად ინგრედიენტებს; ურევს და განათავსებს სათანადო ჭურჭელში მის მიერ მომზადებულ კერძებს;
- ცნობს და იყენებს მარტივ ხელსაწყოებს (მაგ., სასწორი, ძაბრი, ჩაქურჩი, მაკრატელი, ქაღალდის სახვრეტი, სათქვეფელი). გამოყენებისას იცავს უსაფრთხოების წესებს;
- საუბრობს ყოველდღიურობაში არსებული საგნების დიზაინსა და ფუნქციის შესაბამისობაზე (მაგ., სპორტული ფეხსაცმელების ძირები დაღარულია, რომ ფეხი არ მოსრიადდეს);
- პრაქტიკული სამუშაოების შემდეგ აწესრიგებს სამუშაო სივრცეს;
- დაკვირვებების ჩატარების დროს მუშაობს მარტო და თანატოლებთან ერთად.

მიმართულება : დედამინა და გარემო

შედეგი 4. ბავშვი შეისწავლის მის უშუალო ბუნებრივ გარემოს და ამ გარემოში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აყალიბებს კითხვებს მისი გარემომცველი ბუნებრივი გარემოს გამოსაკვლევად (მაგ., „სად მიდის წვიმის წყალი მიწაზე მოხვედრის შემდეგ?“ „რით ჰგვანან ეზოში ნაპოვნი ქვები ერთმანეთს და რით განსხვავდებიან?“);
- აგროვებს და აღრიცხავს ინფორმაციას ბუნებრივი გარემოს თვისებების შესახებ. ეფუძნება სხვადასხვა შეგრძნების (სმენა, მხედველობა, გემო, სუნი, შეხება) საშუალებით მიღებულ ინფორმაციას (მაგ., „მდინარის პირას იზრდებოდა მაღალი ხეები. ფოთლები ხმამაღლა შრიალებდა, რადგანაც უბერავდა ძლიერი ქარი. ქარს მოჰქონდა ფოთლების სუნი“);
- ცნობს და სწორად განასხვავებს სხვადასხვა სახის ლანდშაფტს (მაგ., მთა, ბორცვი, გორაკი, ზღვის სანაპირო, მინდორი);
- ბუნებრივი გარემოს შესახებ ინფორმაციის მოგროვებისას იხატავს მნიშვნელოვან დეტალებს და/ან იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს (ფოტოაპარატი, მობილური ტელეფონის ფოტოკამერა);
- აღწერს ბუნებრივ გარემოს ამინდის (მაგ., სიცხე/სითბო, ქარის ქროლვის მიმართულება, ნალექები), მიწის (ქვიშიანი, ქვიანი) და ლანდშაფტის (ბალახიანი მინდორი, ტყე, კლდოვანი ადგილი) ტიპების მიხედვით;

- მასწავლებლის მიერ ჩატარებული შესაბამისი აქტივობების (მაგ., პერიოდული დაკვირვება გარემოს ტემპერატურაზე; პერიოდული დაკვირვება ეზოს ხეებზე) საფუძველზე აღწერს ბუნებრივ გარემოში დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებს (მაგ., ტემპერატურის ცვლილება კვირის დღეების განმავლობაში, ხეების შეფოთვლის ცვლილება წლის განმავლობაში);
- ერთმანეთს ადარებს შესწავლილ ობიექტებს (მაგ., ეზოში შეგროვებული ქვები, მიწის ნიმუშები, ლანდშაფტების სურათები) ადვილად დაკვირვებადი ნიშან-თვისებების მიხედვით (მაგ., მიწის ნიმუშებს ადარებს ფერის და ტექსტურის მიხედვით);
- ასახელებს ადამიანის აქტივობებს, რომელიც იწვევს გარემოს ცვლილებებს (მაგ., სახლების მშენებლობა, ხეების ჭრა, ბაღების გაშენება, გზების გაყვანა);
- უფროსებთან ერთად შეუძლია განსაზღვროს გარემოსდაცვითი ღონისძიებები (მაგ., იცის, რომ სადაც ტყე გაკაფულია, იქ ახალი ხეები უნდა დავრგოთ);
- იცის, თუ როგორ უნდა მოუფრთხილდეს გარემოს და ამას ყოველდღიურობაში ახორციელებს (მაგ., ქუჩაში ნაგავს ურნაში ყრის, ნყალს მოშვევებს არ ტოვებს, ხეს ტოტს არ სტეხს);
- იყენებს ვიზუალურ და/ან მულტიმედიურ საშუალებებს მის მიერ შერჩეული ბუნებრივი გარემოს (მაგ., ტყე, მდელო, ზღვის სანაპირო, მთა, პარკი) თანატოლებისთვის გაცნობის მიზნით;
- იცავს უსაფრთხოების ზომებს პრაქტიკული სამუშაოების და ბუნებაში გასვლის დროს;
- პრაქტიკული სამუშაოების შემდეგ აწესრიგებს სამუშაო სივრცეს;
- დაკვირვების ჩატარების და ბუნებაში გასვლის დროს მუშაობს მარტო და თანატოლებთან ერთად.

მიმართულება: სივრცე და დრო

შედეგი 5. ბავშვი განასხვავებს მოვლენათა მიმდინარეობის დროს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- შეძლებს წელიწადის დროებისა და კვირის დღეების დასახელებას;
- გაერკვევა, თუ რომელ საათზე იწყება ბაღი, საყვარელი ტელეგადაცემა, რომელ საათზე იღვიძებს ან იძინებს;
- გაარკვევს კალენდრის დანიშნულებას;
- ასახელებს საკუთარი დაბადების დღის და საყვარელი დღესასწაულის (მაგ., ახალი წელი პირველ იანვარს დგება) თარიღს;
- აცნობიერებს, რომ წარსულში ადამიანები სხვაგვარად ცხოვრობდნენ (მაგ., იცის, რომ იყო დრო, როდესაც კომპიუტერი, მანქანა, ტელევიზორი არ არსებობდა, აინტერესებს, როგორ გადაადგილდებოდნენ ადამიანები, როდესაც არ იყო მანქანები).

შედეგი 6. ბავშვს შეუძლია საკუთარი თავის, გარემოში არსებული ობიექტების მდებარეობის აღქმა და საგნებს შორის სივრცითი მიმართებების დადგენა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- არჩევს მარჯვენას და მარცხენას საკუთარი სხეულის ნაწილებზე;
- ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ორიენტირებას და მიმართულების აღმნიშვნელ სიტყვებს, პოულობს საგანს ნაცნობ სივრცეში (მაგ., მიდი მაგიდასთან, შემდეგ შებრუნდი მარჯვნივ და გადაადგილდი სამი ნაბიჯი);
- შეძლებს გზის ახსნას, სხვისთვის გზის სწავლებას (მაგ., სად მდებარეობს საპირფარეო, სად არის მისი საკლასო ოთახი);
- განსაზღვრავს ადგილს, საიდანაც ისმის ხმოვანი ნიშანი საკუთარ თავთან მიმართებით (მაგ., ხმა მესმის მარჯვნიდან);

- მოძრაობს ისრებით მითითებული ტრაექტორიის მიხედვით;
- ადგენს და თანატოლს კარნახობს მარტივ მარშრუტს (არაუმეტეს ორი-სამი მიმართულებისა);
- საუბარში იყენებს ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ისეთ სიტყვებს, როგორცაა „ახლოს“, „შორს“, „წინ“, „უკან“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“;
- შეძლებს ლაბირინთში გზის გაკვლევას;
- შეძლებს აგისნათ, მიგასწავლოთ გზა (მაგ., თავისი სახლისკენ: „ჩემი სახლი არის საცურაო აუზთან“);
- ერკვევა, რომელ ქუჩაზე ცხოვრობს, რა ჰქვია მის ქალაქს თუ სოფელს, რა ჰქვია მის ქვეყანას და ა.შ.
- ანვითარებს წარმოდგენებს მისი სოფლისა თუ ქალაქის ნიშან-თვისებებზე (მაგ., ტელეგადაცემაში წყალდიდობის ნახვის შემდეგ ამბობს: „ჩვენთან ასეთი რამე არ ხდება“);
- ფლობს ინფორმაციას სხვა ქვეყნების არსებობის შესახებ.

მიმართულება: რაოდენობა და რიცხვები

შედეგი 7. ბავშვს შეუძლია ჩამოთვალოს მთელი რიცხვები, გამოიყენოს 1-ის ტოლი ბიჯით თვლა და დაითვალოს 0-დან 10-მდე და პირუკუ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ასახელებს მოცემული რიცხვის მომდევნო რიცხვს (0-დან 9-მდე);
- ასახელებს მოცემული რიცხვის წინა რიცხვს (1-დან 10-მდე);
- ითვლის წინ/უკან ნებისმიერი რიცხვიდან 0-დან 10-მდე.

შედეგი 8. ბავშვს შეუძლია შეაფასოს და შეადაროს ობიექტების (ნახატები, საგნები) რაოდენობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- დაუთვლელად ასახელებს ზუსტ რაოდენობას ერთგვაროვან, მცირე ზომის საგანთა გროვაში (საგანთა რაოდენობა არ აღემატება 5-ს) და დათვლით ამოწმებს საკუთარ პასუხს;
- დაუთვლელად ადარებს ორ სიმრავლეს (თითოეულ სიმრავლეში საგანთა რაოდენობა არ აღემატება 5-ს).

შედეგი 9. ბავშვი ერთმანეთს უსაბამებს რიცხვებს, რიცხვით სახელებს და რაოდენობას (0-დან 10-მდე).


შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ირჩევს და ქმნის მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობას;
- მოცემულ საგანთა ერთობლიობას შეუსაბამებს რიცხვს;
- თითებით აჩვენებს რიცხვის შესაბამის რაოდენობას;
- შეუსაბამებს რაოდენობას მის რიცხვით გამოსახულებას;
- ქმნის ტოლი რაოდენობის საგანთა მონესრიგებულ ერთობლიობებს (მაგ., მაგიდაზე ალაგებს 4 ჩხირს და 4 ბურთულას);
- შეძლებს რამდენიმე (5) ციფრის გადმოწერას;
- გაიგებს, რომ დათვლის დროს ბოლო რიცხვი წარმოადგენს საგნების მთელ რაოდენობას;
- შეძლებს რიცხვის გამოყენებას რიგითობის აღსანიშნად (ზეიმზე პირველი გამოდის მარიკა, მეორე ლევანი; წამყვანის შემდეგ გამოდის ნინო და მლერის);
- ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობაში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით (მაგ., „მე მივეცი გიას ერთი კუბურა. მას ახლა ორი აქვს“).


შედეგი 10. ბავშვი წარმოადგენს მთელ რიცხვს მისი შემადგენელი ნაწილებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- წარმოადგენს მთელ რიცხვს ორ ნაწილად, თითების, სათვლელი ჩხირების ან სხვა საგნების დახმარებით. ასახელებს საგანთა რაოდენობას თითოეულ ნაწილში. (მაგ., 8 შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:




- მთელი რიცხვის ორ ნაწილად წარმოდგენისას ადგენს განსხვავებულ კომბინაციებს. (მაგ., 6 შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



შედეგი 11. ადარებს რაოდენობას (0-დან 10-მდე) გროვაში ერთი-ერთზე დაწყვილების პრინციპით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ქმნის გროვებს, რომელშიც გროვების რაოდენობა თანაბარია, ან ერთში საგანთა რაოდენობა მეტია/ნაკლებია ვიდრე, მეორეში;
- გროვებში შემავალ საგნებს აწყვილებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავს, თუ რომელ გროვაშია მეტი/ნაკლები საგანი;



(მაგ.)

- გროვების შედარებისას იყენებს სიტყვებს: „მეტია“, „ნაკლებია“, „ტოლია“.

მიმართულება: ფიგურების აღქმა**შედეგი 12. ბავშვს შეუძლია ამოიცნოს ფიგურები განსხვავებულ სიტუაციებში და დახატოს/შექმნას დასახელებული ფიგურები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ასახელებს მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე), იცის მათი ელემენტარული მახასიათებლები (*მაგ., ოთხკუთხედს ოთხი კუთხე აქვს, ოთხი წვერი აქვს, წრე მრგვალია*);
- ხატავს ოთხკუთხედს, სამკუთხედს, წრეს;
- პოულობს მითითებული ფორმის საგნებს მრავალელემენტიან ნახატში (*მაგ., სურათზე ხატია მაღაზია, ბავშვმა უნდა მოძებნოს ოთხკუთხედი ფორმის საგნები*);
- დანაწევრებული ელემენტებისგან აგებს მითითებული ფორმის ფიგურას (*მაგ., სამკუთხედებით ადგენს სხვა გეომეტრიულ ფიგურას*).

შედეგი 13. ბავშვი ადარებს ორ საგანს/ფიგურას ერთი ატრიბუტის/თვისების მიხედვით: სიგრძე (სიმაღლე), წონა, ზომა, მოცულობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ადარებს ორი საგნის სიგრძეს/სიმაღლეს და შედარების შედეგების გამოსახატად იყენებს შემდეგ სიტყვებს: უფრო მოკლე, უფრო გრძელი, უფრო დაბალი, უფრო მაღალი, ტოლი;
- ადარებს ორ საგანს წონის მიხედვით და შედარების შედეგების გამოსახატად იყენებს შემდეგ სიტყვებს: უფრო მსუბუქი, უფრო მძიმე, ტოლი;
- ადარებს ორი საგნის მოცულობას და შედარების შედეგების გამოსახატად იყენებს შემდეგ სიტყვებს: უფრო დიდი, უფრო პატარა, ტოლი.

შედეგი 14. ბავშვი ადარებს ბრტყელ და მოცულობით ფიგურებს ერთი ატრიბუტის მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აჯგუფებს ბრტყელ და მოცულობით ფიგურებს ზომის ან ფორმის მიხედვით, აყალიბებს დაჯგუფების პრინციპს;
- ამოიცნობს დაჯგუფების პრინციპს უკვე არსებული სიმრავლისათვის;
- ალაგებს მსგავსი ფორმის გეომეტრიულ ფიგურებს პატარადან დიდამდე და, პირიქით, დიდიდან პატარამდე.

შედეგი 15. ბავშვი აგებს და აღწერს მოცულობით ფიგურებს.


შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ქმნის სივრცით ფიგურებს საძერწი მასალის ან/და კუბურების გამოყენებით;
- სივრცითი მოდელების აღწერისას იყენებს სიტყვებს: „დიდი, „პატარა“, „მრგვალი“, „ყუთის მსგავსი“, „ქილის მსგავსი“.

მიმართულება: კანონზომიერება


შედეგი 16. ბავშვი განავრცობს, წარმოადგენს და ადარებს საგნების/მოქმედებების მიმდევრობას. შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- თანმიმდევრობაში ამოიცნობს განმეორებად და არაგანმეორებად ნაწილებს/მონაკვეთებს;



(მაგ.:)

- შეუძლია გაიმეოროს რაიმე სახის მიმდევრობა (მოქმედება, ხმა, ფერი, ზომა, ფორმა ან ორიენტაცია) და აღწეროს მოცემული მიმდევრობა;
- მიმდევრობის მოცემული ნიმუშის მიხედვით, ავსებს ამ მიმდევრობის ორ მომდევნო ღია პოზიციას



(მაგ.:)

- თავად ქმნის მიმდევრობას ნახატის, საგნების, ბგერების ან სხვა მოქმედების (მაგ., ტაში, ხელეების აწევა, ბუქნი) საშუალებით და აღწერს თანმიმდევრობას (მაგ., სამი ტაშის შემდეგ ორი ბუქნი, სამი ტაში, ორი ბუქნი);
- ყოველდღიურ ცხოვრებაში ამოიცნობს თანმიმდევრობას (მაგ., „ყოველ დღით ვდგები, ვიბან პირს, ვსაუზმობ, მივდივარ ბაღში“, „შუქნიშანზე ფერები ინთება შემდეგი მიმდევრობით: მწვანე, ყვითელი, წითელი, ყვითელი“);

II.2.5. სწავრა - ხელოვნება

მიმართულება: ხედვა და კეთება

შედეგი 1. ბავშვს შეუძლია სხვადასხვა მასალისა და იარაღის მიზანმიმართულად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- პლასტილინისა და თიხისგან აკეთებს მარტივ ფიგურებს (მაგ., ხეს, ყვავილს, ქოთანს);
- სპეციალური მაკრატლით ქალაქისგან გამოჭრის და აწებებს მარტივ ფიგურებს;
- ფანქრით, ფლომასტერით, ფუნჯით აფერადებს სხვადასხვა ფიგურას, ორნამენტს;
- იხატავს ორნამენტებს (მაგ., ხვეულა, ტალღოვანი/ტეხილი ხაზები), გეომეტრიულ ფიგურებს (მაგ., სამკუთხედი, კვადრეტი, წრე);
- ფანქრით ავლებს ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, დახრილ ხაზებს;
- შემოხაზავს ხელის მტევანს;

- აზავებს ფერებს ახალი ფერის მისაღებად;
- ხატავს რთულ, სქემატურ ნახატს (*მაგ., ადამიანის ფიგურა დეტალებით*);
- აერთებს ნერტილებს გამოსახულების მისაღებად.

შედეგი 2. ბავშვს შეუძლია სხვადასხვა სახის ნამუშევრის შექმნა, ნააზრევის, განცდილის გადმოცემა ფორმებით და ფერებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- აკეთებს აპლიკაციას სხვადასხვა მასალის გამოყენებით (*მაგ., გუაში, გირჩა, ფოთლები, ფერადი ქაღალდი, რკო*);
- აწყობს მოზაიკას სხვადასხვა მასალით (*მაგ., მძივი, ლილები, ლობიო*);
- აგებს მცირე ზომის მძივს ძაფზე;
- ქაღალდისგან აკეთებს მარტივ საგნებს (*მაგ., თვითმფრინავს*);
- ძერწავს რამდენიმე ნაწილისგან შემდგარ ფიგურებს პლასტილინით ან თიხით;
- ფლომასტერით, გუაშით, ფერადი ფანქრებით ქმნის ნახატებს სხვადასხვა თემაზე (*მაგ., შემოდგომის ხე, ჩემი სახლი*);
- ხატავს, ძერწავს პერსონაჟს, სცენას საყვარელი ზღაპრიდან;
- ნახატით გადმოსცემს ნააზრევს, განცდილს.

შედეგი 3. ბავშვს შეუძლია სხვადასხვა წარმომავლობის და სახის ხელოვნების ნიმუშის ცნობა და გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- ახარისხებს სხვადასხვა სახის სურათს (*მაგ., ფოტო, ფერწერა, გრაფიკა, აპლიკაცია*);
- ერთი და იმავე სახის კოლექციაში პოულობს განსხვავებულ ერთეულს;
- ხელოვნების ნიმუშში ამოიცნობს მასალას და მისთვის ცნობილ ტექნიკას;
- პოულობს კონკრეტული ნიშნით მსგავს სურათებს (*მაგ., საერთო თემა, გამოყენებული ტექნიკას ან მასალას*);
- ადარებს სურათებს და პოულობს მსგავსებებს/განსხვავებებს;
- ამოიცნობს და ასახელებს ნამუშევარში წარმოდგენილ თემას (*მაგ., ბუნების სურათი, პორტრეტი, ბრძოლა*).

შედეგი 4. ბავშვს შეუძლია ნამუშევრებში გადმოცემული აზრის, განცდის ან ნამუშევრით მიღებული შთაბეჭდილების სიტყვიერად გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- საკუთარ ნაშრომს წარუდგენს თანატოლებს. უხსნის, რა არის მასზე გამოსახული;
- ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას განმარტავს, რას ასახავს;
- სიტყვიერად გამოხატავს ემოციებს, შთაბეჭდილებებს;
- თავისუფლად გამოხატავს მოსაზრებებს კონკრეტულ ნაშრომთან დაკავშირებით;
- კომენტარს უკეთებს სხვა ბავშვების შემოქმედებას, ამჩნევს დეტალებს. სვამს კითხვებს ნამუშევარში გამოსახული მოქმედებისა და გამოყენებული მასალის შესახებ (*მაგ., რა დახატე, რითი დახატე?*);
- სიტყვიერად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, ემოციებს, შთაბეჭდილებას ხელოვნების ნიმუშების მიმართ (*მაგ., „ეს სევდიანი ნახატია“, „ამ მუსიკამ კარგ ხასიათზე დამაყენა“*).

შედეგი 5. ბავშვს შეუძლია აღიქვას ხმის განსხვავებული ჟღერადობები, რიტმული ნახაზები და მიბაძოს მათ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- განარჩევს ხმის ჟღერადობას ხანგრძლივობის, სიმაღლის, ტემბრის, ტემპის მიხედვით;
- ბაძავს ხმის სხვადასხვა ჟღერადობას;
- ამოიცნობს ხმის წარმოქმნის წყაროს (წყაროს ჩუხჩუხი, წვიმის წვეთები, წრუნუნას წრიპინი და სხვ.);
- ამოიცნობს სხვადასხვა ცხოველის ხმას და ბაძავს მათ;
- მოუსმენს და განსაზღვრავს, საიდან მოდის ხმა;
- ამოიცნობს მარტივ, რიტმულ ნახაზებს;
- სხეულის მოძრაობით აჰყვება შემოთავაზებულ რიტმს, მელოდიას;
- სხვადასხვა ხმოვანი საგნით, ინსტრუმენტით იმეორებს რიტმულ ნახაზს;
- ტაშით, ფეხის დარტყმით გამოყოფს ტაქტის ძლიერ დროს.

შედეგი 6. ბავშვი ფლობს სათვლულებს, სიმღერების მრავალფეროვან რეპერტუარს, შეუძლია მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით შესრულება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- მღერის სათვლულებს;
- მღერის მარტივ, ერთხმიან სიმღერებს მასწავლებელთან/თანატოლებთან ერთად;
- ასრულებს სიმღერებს უცხოურ ენაზე;
- ერთსა და იმავე სიმღერას ასრულებს ჩუმად, ხმამაღლა, ჩქარა, ნელა;
- ტაშით, რიტმული მოძრაობით აჰყვება მუსიკას;
- სიმღერის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს მიმიკას, ჟესტიკულაციას.

შედეგი 7. ბავშვი აცნობიერებს ნიშანთა განსხვავებული სისტემების (მუსიკა, მხატვრობა, სიტყვიერება) საერთო დანიშნულებას და აკავშირებს ერთმანეთთან მუსიკის ენით, მხატვრობის ენით ან სიტყვიერად გადმოცემულ ინფორმაციას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ ბავშვი:

- უსმენს მუსიკალურად გაფორმებულ ზღაპარს, ავლებს პარალელს მუსიკით გამოხატულ განწყობასა და კონკრეტული ეპიზოდის შინაარსს შორის;
- ტექსტის გარეშე უსმენს ზღაპრის მუსიკის ნაწყვეტს და ამოიცნობს, ზღაპრის რომელ ეპიზოდს შეესაბამება;
- შეთავაზებულ მუსიკალურ ნაწყვეტს უსადაგებს ნაცნობი ზღაპრის კონკრეტულ ამბავს, მოვლენას, პერსონაჟს;
- ზღაპრის კონკრეტული ამბისთვის ქმნის ილუსტრაციას და შეარჩევს მუსიკალურ ნაწყვეტს/ეპიზოდს.

